№ 20 | ზამთარი 2022-23 | 5₾

# NARGIS GEORGIA

Trends 2023



შარლოტა გენსბური

ჩუბიკა

CREAMS

გიორგი ხმალაძე

## WINTER ATTITUDE

ZARA




SOCAR

საწვავი, რომელიც ევროპას ამოძრავებს



# NARGIS

**მთავარი რედაქტორი** ᲗᲐᲙᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ | Editor-in-Chief TAKO CHKHEIDZE
**აღმასრულებელი დირექტორი** ᲜᲘᲜᲝ ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ | Executive Director NINO DIASAMIDZE
**აღმასრულებელი რედაქტორი** ᲜᲘᲜᲝ ᲛᲣᲠᲦᲣᲚᲘᲐ | Executive Editor NINO MURGHULIA
**მოდის რედაქტორი** ᲓᲐᲗᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲔᲕᲘ | Fashion Editor DATA ALEKSEEV

ᲒᲣᲜᲓᲘ

**ნომერზე მუშაობდნენ**

ᲘᲠᲘᲜᲐ ᲑᲔᲚᲐᲜᲘ / IRINA BELAN / ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲜᲘᲛ ᲡᲐᲚᲘᲛᲝᲕᲐ / MINAKHANIM SALIMOVA / ᲢᲐᲢᲘᲐᲜᲐ ᲠᲝᲖᲔᲜᲨᲢᲐᲘᲜᲘ / TATIANA ROSENSTEIN

**თარგმანი რუსულიდან** ᲜᲘᲜᲘᲨᲐ ᲩᲚᲐᲘᲫᲔ | Translation from Russian NINISHA CHLAIDZE
**თარგმანი ინგლისურიდან** ᲙᲝᲑᲐ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | Translation from English KOBA JANIASHVILI

**სტილი** ᲜᲘᲜᲝ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ | Style NINO LURSMANASHVILI

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲩᲘᲜᲩᲐᲠᲐᲣᲚᲘ / NINO CHINCHARAULI

ᲤᲝᲢᲝ

ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲨᲝᲗᲐ ᲒᲝᲗᲝᲨᲘᲐ / SHOTA GOTOSHIA
ᲡᲐᲚᲘ ᲓᲣᲜᲓᲣᲐ / SALI DUNDUA
ᲐᲓᲐᲛ ᲙᲐᲪ ᲡᲐᲘᲜᲓᲘᲜᲒᲘ / ADAM KATZ SINDING
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲐᲞᲘᲫᲔ / GIORGI PAPIDZE

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘ




Starring: ETO MIGRIAULI (GEOMODELS AGENCY)
Photo: SHOTA GOTOSHIA
Style: DATA ALEKSEEV
Apparel: ZARA
MUA: ANA GADELIA
Hair: VIKTORIA GIGIASHVILI
Stylist Assistant: NINA SHEKILADZE


ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს NARGIS–ის საკუთრებას.
ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება რედაქციის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.

გამოცემის სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ჟურნალი NARGIS–ი არ იღებს პასუხისმგებლობას სარეკლამო ტექსტების შინაარსზე.


**რეკლამა ჟურნალში:** 577 22 25 00

facebook.com/NargisGeorgia
instagram.com/nargis - georgia




# „ნარგისი“ საიუბილეო ნომერი



photo GIORGI PAPIDZE, DIGITAL STUDIO
mua EKATERINE CHANCHIBADZE
apparel BLOOMS TBILISI

მათ, ვინც ახლა ჟურნალს ფურცლავს, კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით ვეტყვით: უღრმესი მადლობა ერთგულებისთვის!

თქვენ ახლა ხელში „ნარგისის“ საიუბილეო ნომერი გიჭირავთ. წლები გავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ჟურნალის ქართული გამოცემის პირველ ნომერზე მუშაობისას პარტნიორებსა და ენთუზიაზმით აღსავსე გუნდთან ერთად ღამეებს ვათენებდით, ვარჩევდით იმ საერთაშორისო მასალებს „ნარგისი აზერბაიჯანის“ ნომრებიდან, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ პარიზის მოდის კვირეულზე ყოფნისას შევიტყვე...

მოულოდნელობები და დაუგეგმავი ამბები ჩემი ცხოვრების გზას მუდამ თან სდევს, თუმცა მას ყოველთვის ახალ და საინტერესო აღმოჩენებამდე მივყავარ...

„ნარგისიც“ ამ ამბის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელმაც ჩემს ცხოვრებაში თავისი გამორჩეული ადგილი დაიკავა. ის უკვე „დიდი გოგოა“, დიდი ისტორიით. შევძელით, რომ წლების განმავლობაში არ დაეკარგა თავისი ხარისხი, საინტერესო შინაარსი...

„ნარგისი“ არ არის მხოლოდ ბეჭდური გამოცემა, არამედ ონლაინ ჟურნალიცაა. გვყავს არაჩვეულებრივი გუნდი, რომელსაც ძალიან უყვარს „ნარგისი“ და ბევრს აკეთებს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად.

მიხარია, რომ „ნარგისის“ ისტორია გრძელდება და წინასაახალწლოდ კვლავ შეგვიძლია საინტერესო ინტერვიუებითა და სტატიებით გაგანებივროთ – როგორც ყოველთვის, ვეცადეთ, ორიგინალური და გამორჩეული ნომერი შეგვექმნა.

მათ, ვინც ახლა ჟურნალს ფურცლავს, კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით ვეტყვით: უღრმესი მადლობა ერთგულებისთვის!

გილოცავთ ახალ 2023 წელს – მშვიდობიან და წარმატებულ წელს გისურვებთ!

**თაკო ჩხეიძე**
**მთავარი რედაქტორი**





4 გვ.
რედაქტორისგან

10 გვ.
რედაქტორის არჩევანი

*რა იგულისხმება ელეგანტურ ხასიათში?*

14 - 21 გვ.
TRENDS

22 - 24 გვ.
SHOP THE LOOK

*კლასიკად ქცეული ტრენდების ახალი კოლექციებს მოდის კრიტიკოსების დადებითი გამოხმაურება მოჰყვა*

26 გვ.

მთავარი მოდური მომენტები
მოდის კვირეულებიდან


> ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲚᲐᲛᲐᲖᲐᲓ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲐᲙᲕᲘᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐᲡ


32 გვ.

საკულტო ჩანთები

40 გვ.
3 ცნობილი ჩანთა
CELINE

42 გვ.

MOMENTS TO REMEMBER





58 გვ.
SMART & CASUAL

60 გვ.

*WINTER ATTITUDE*

*მის საყვარელ მასალად რჩება ოქრო - არაჩვეულებრივად პლასტიკური მეტალი, რომელსაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია*

74 გვ.
შთაგონება და ბრილიანტები

76 გვ.
გრაციოზული კეკლუცი თამამი

80 გვ.
BEAUTY TRENDS

83 გვ.
ლიკა ევგენიძის სილამაზის მრავალფეროვანი რუტინა

*ჩემთვის სილამაზის რუტინა ბევრ ასპექტს მოიცავს. ვარჯიში, მედიტაცია, დილიდან არჩევანის გაკეთება დადებით ემოციებზე, რაც მერწმუნეთ, სახის კანზეც აისახება*

86 გვ.

*Both sides now*

92 გვ.

## „კარაპს მედლაინის“ თავის მოვლის სერვისები

98 გვ.



Charlotte

## ორი ლეგენდის მემკვიდრე

106 გვ.



## რუბიკა

112 გვ.



## CREAMS

*რასაც ჩვენთან აკეთებენ არტისტები, გაცილებით უფრო ავთენტიკურია, ამიტომ საქართველოში თავს უფრო კარგად ვგრძნობ...*

122 გვ.



## ყველაზე წარმატებული არქიტექტურული პროექტების ავტორი

*თუ გსურს, შეგიძლია, შენი ნამდვილი არსება იპოვო და არ ეძიო საკუთარი თავის ასლი...*

128 გვ.

## დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაზავი

136 გვ.



## კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი დაბადება

140 გვ.



## ხალხის საყვარელი დედოფალი

„ ᲛᲘᲜᲓᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲯᲔᲠᲝᲓᲔᲗ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡ, ᲩᲔᲛᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲐᲠ ᲡᲯᲔᲠᲐᲗ “

144 გვ.

## „სოკარის“ ახალი კამპანია

*„შატო მუხრანი“ არის საქართველოში ერთ-ერთი იშვიათი გადარჩენილი სასახლე, საქართველოსა და მისი ხანგრძლივად მმართველი დინასტიის დიადი ისტორიის მოწმე*

146 გვ.

## 2023 წლის ასტროლოგიური დახასიათება

148 გვ.



## მე რომ შემეძლოს...

# FESTIVE MOOD

ზამთრის სადღესასწაულო განწყობის მთავარი ატრიბუტები ჩემთვის – საღამოს წვეულებიდან მთის კურორტამდე...

1.

YEPREM





2.

BRUNELLO CUCINELLI



3.

ALESSANDRA RICH

შავი კურდღლის ბეწვის შესახვედრად კაბა ბუმბულებით ერთ-ერთი საუკეთესო არჩევანია



4.

KIKO

ჩემი ახალი აღმოჩენა არის „კიკოს“ ფიქსატორი, რომლის მეშვეობითაც მთელი დღეს შეინარჩუნებთ მაკიაჟს



5.

YSL

ზამთრის ცივ სეზონზე „ლოქსიტანის“ უკვდავას შრატი და სახის მისტი საოცრად კვებავს და ატენიანებს კანს



6.

L'OCCITANE





7.

GOLDBERGH

სრიალის დროს აუცილებელი აქსესუარი

თხილამურებით სრიალი ჩემი გამორჩეული ჰობია. მოდურად და კომფორტულად ჩაცმა ტრასაზეც მნიშვნელოვანია



8.

GUCCI



9.

SMYTHSON

ჩემს ჩვევას ახალ 2023 წელსაც ვერ შევცვლევი და ყველაფერს ისევ ბლოკნოტში ჩავწერ



10.

GOLDBERGH



11.

BLOOMS

საინტერესო სასაჩუქრე იდეა „ბლუმსისგან“ – აბრეშუმის შარფი ლამაზი შეფუთვით



12.

BYREDO

სუსხიან ამინდში სიმყუდროვეს სურნელოვანი სანთლებით ვიქმნი



13.

MOËT & CHANDON

დღესასწაულის დღეები შესაბამისი სასმლის თანხლებით




HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/CLICKEVENTSTBILISI
HTTPS://WWW.INSTAGRAM.COM/CLICKEVENTSTBILISI
#3; +995 599 11 68 11 / +995 599 25 84 45

83.

# 13

# FASHION



IRAKLI KALANDARISHVILI

# URBAN ELEGANCE

2000-იანების სტილის ინტერპრეტაციები მოდის სფეროში წლების განმავლობაში მუდმივად გვხვდებოდა, თუმცა ამჯერად შემოდგომა-ზამთარი 2023-ის სეზონზე ნამდვილად მოგვევლინა მთავარ მიმართულებად.



DAVID-KOMA

BOKUCHAVA



BENEDETTA BRUZZICHES

DAVID-KOMA

DAVID-KOMA

CE

AI

BALENCIAGA

ფართო და დაბალწელიანი ჯინსები, მიკროშორტები, ლეგინსები, მეტალის დეტალები, მბრწყინავი აქსესუარები, ტყავის თრენჩები, კროპ-ტოპები და მრბოლელის მოსაცმელები - ბევრისთვის 2000-იანების ათწლეული უგემოვნო სტილითა და უხეში სილუეტებით იყო ცნობილი. წამყვანი მოდის სახლები მივიწყებულ მოდის ტენდენციებს ურბანული ესთეტიკით ელეგანტურ ხასიათში აცოცხლებენ.

რა იგულისხმება ელეგანტურ ხასიათში?



RUDY PROJECT

MUGLER

R13

JELLYFISH



HELMUT LANG

YSL

DIESEL

COPERNI

YSL

რა იგულისხმება ელეგანტურ ხასიათში? DAVID KOMA-დან დაწყებული, SAINT LURENT-ით დასრულებული, ბრენდების კოლექციებში 2000-იანი წლების დეტალებს როცა ვხედავთ, კრეატიული დირექტორები ორი დეკადის კომბინაციას გვთავაზობენ. მაგალითად, 70-იანი და 2000-იანი წლები, 90-იანი და 2000-იანი წლები - შედეგიც უფრო მეტად საინტერესო და დასამახსოვრებელია. სწორედ ასე ხვდება დღეს ურბანული ესთეტიკა ელეგანტურ ხასიათს.



MACH & MACH

DION LEE

# BLACK &White



VALENTINO SPRING 2023

MIU MIU
SPRING 2023

CHLOÉ
SPRING 2023

STELLA MCCARTNEY
SPRING 2023







„შანელიდან" დაწყებული, „ივ სენ ლორანით" დასრულებული, სამოსის შავ-თეთრი კომბინაცია დღემდე კლასიკურ მიმართულებად მიიჩნევა, თუმცა ელეგანტური შავი მსოფლიო მოდაში არასდროს ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორიც დღესაა.



THE ROW PRE-FALL 2023



DRIES VAN NOTEN SPRING 2023



VALENTINO RESORT 2023



STELLA MCCARTNEY
SPRING 2023

თუკი წლების წინ საღამოს ლუქის შესაქმნელად მხოლოდ შავ-თეთრის მინიმალისტური კომბინაცია იყო საჭირო, წელს განსხვავებულ სურათს ვხვდებით. წამყვანი მოდის სახლები დიდ აქცენტებს სხვადასხვა ფაქტურის შეხამებაზე, მიკროდეტალებსა და აქსესუარებზე აკეთებენ, რაც სრულ ჩაცმულობას, ელეგანტურთან ერთად, საინტერესო იერს ანიჭებს.

წამყვანი მოდის სახლები დიდ აქცენტებს სხვადასხვა ფაქტურის შეხამებაზე აკეთებენ



VICTORIA BECKHAM SPRING 2023



NANUSHKA SPRING 2023

# PARTY WEAR

როდესაც საღამოს წვეულებებსა და სადღესასწაულო განწყობაზე ვსაუბრობთ, უპირველესად, ელეგანტური კაბები და ფერადი ორეულები გვახსენდება. ლუქის სრულყოფილი გაგრძელებისთვის მნიშვნელოვანია ფეხსაცმლისა და აქსესუარების სწორად შერჩევა.




















სადღესასწაულო განწყობის მთავარი ინსპირაცია MANOLO BLAHNIK-ის ფეხსაცმელებს უკავშირდება, რომელიც დღემდე რჩება გამთრის კოლექციებში მოდის ბრენდების შთაგონების წყაროდ. მეტალისა და აბრეშუმის ქსოვილები და თვლებით გაფორმებული სამოსი იდეალური გადაწყვეტილებაა სადღესასწაულო ლუქის შესაქმნელად. იმ შემთხვევაში, თუ არჩევანს შედარებით სადა და მინიმალისტურ ვარიანტზე შეაჩერებთ, შეუხამეთ ვინტაჟური მასიური სამკაულები, რომელიც 2022 წლის მთავარი ტრენდია და არც უახლოეს მომავალში დაკარგავს აქტუალობას.



ვინტაჟური მასიური
სამკაულები, რომელიც 2022
წლის მთავარი ტრენდია და
არც უახლოეს მომავალში
დაკარგავს აქტუალობას



# SHOP THE LOOK

„ბოტეგა ვენეტას“ უახლესი კოლექცია განსაკუთრებულად ამართლებს CASUAL ჩაცმულობის ხასიათს. 2000-იანი წლების სტილი გრანჟის ელემენტებით კვლავ აქტუალურია. მსგავსი ხასიათის სამოსის შეძენა ნებისმიერი დემოკრატიული ბრენდის მაღაზიაში შესაძლებელი.



BOTTEGA VENETA SPRING-2023








# Season's MUST HAVE



## Loewe
### Luna small leather shoulder bag

LOEWE-ს ჩანთა – Luna small leather shoulder bag შემოდგომა-ზამთარი 2022-ის კოლექციიდან, რომელსაც ნახევარმთვარის ფორმა აქვს, ამ სეზონის Must-have ატრიბუტია.

# SHOP THE LOOK

SAINT LAURENT-ის ახალი კოლექციიდან ეს ლუქი ხაზს უსვამს სამოსის სილუეტს და მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს სხვადასხვა ფაქტურის ურთიერთშეხამებაზე. ენტონი ვაკარელოს თითქმის ყველა კოლექცია ამაღლებულად წარმოაჩენს ადამიანის ვიზუალურ მხარეს და ხასიათს, რომელსაც ის გადმოსცემს.



SAINT LAURENT SPRING-2023








# Season's MUST HAVE



## Isabel Marant

### Duerto cowboy knee-length boots

Isabel Marant Duerto cowboy knee-length boots – „ქაუბოის" ფეხსაცმელი ცივ სეზონზე ყველაზე მეტად დაგჭირდებათ თქვენი მოდურობის ხაზგასასმელად.

ეს ფეხსაცმელი წლის ყველაზე ცხელი ტრენდია, რომელიც აქტიურად შევხვდა როგორც ცნობილი ბრენდების ჩვენებებზე, ისე ქუჩის სტილშიც. არ აქვს მნიშვნელობა, ხართ თუ არა დასავლური სტილის მოყვარული, „ქაუბოის" ფეხსაცმლის მორგება ნებისმიერი სტილის სამოსზე შეგიძლიათ.

# მთავარი მოდური მომენტები
## მოდის კვირეულებიდან

კლასიკად ქცეული ბრენდების ახალ კოლექციებს მოდის კრიტიკოსების დადებითი გამოხმაურება მოჰყვა

იმის მიუხედავად, რომ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზამთარი დადგა, მოდაზე შეყვარებული ადამიანები უკვე იმაზე ფიქრობენ, თუ რას ჩაიცვამენ 2023 წლის გაზაფხულზე. ისმის კითხვა: რა იქნება ახალი? - კარგად დავიწყებული ძველი არა, მაგრამ არც თუ ისე შორი წარსულიდან, 2000-იანი წლების პოპკულტურა და მოდური ელემენტები კვლავ აქტუალურია.


MIU MIU SPRING 2023

როგორც მიუჩა პრადა აღნიშნავს, Miu Miu-ს მიმართულება ახალგაზრდულია, გაზაფხული-ზაფხული 2023-ის კოლექცია კი – მხიარულთან ერთად, მკაცრიც. დიზაინერმა მოახერხა და კოლექციაში დომინანტი ნაცრისფერი ეკლექტიკური დეტალებით „გააფერადა“. ლაიტმოტივი სიმარტივეა, სადაც დეტალები განსაზღვრავს ინდივიდუალიზმს. მით უმეტეს, თუ ახალგაზრდულ ხასიათსა და ციფრულ თაობაზე ვსაუბრობთ, აღნიშნული კოლექციის ცნობილი ინფლუენსერების ინსტაგრამის გვერდებზე გადანაცვლება ჩვენს გაკვირვებას არ გამოიწვევს.

დაბალწელიანი შარვლები, ბრჭყვიალა კროპ-ტოპები, მინი ჩანთები, კორსეტები და მასიური ქამრები არასრული ჩამონათვალია იმ დეტალებისა, რომლებიც ამ სეზონზე წამყვანმა მოდის სახლებმა დამახასიათებელი ხელწერით შემოგვთავაზეს. ბევრისთვის 2000-იანი წლების დეკადა სიუშნოვესა და უგემოვნობასთანაა დაკავშირებული, თუმცა განახლებული ინტერპრეტაციების უნიკალურობა ისაა, რომ აღნიშნული ტრენდი სხვადასხვა ათწლეულის ესთეტიკასთან კომბინაციაში გვხვდება.

რაც შეეხება კლასიკად ქცეულ ბრენდებს, Chanel-იდან დაწყებული, Saint Laurent-ით დასრულებული, მათ ახალ კოლექციებს მოდის კრიტიკოსების დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.





ყველას კარგად გვახსოვს გადაჭრილი ორეულები და დაბალწელიანი შორტები Miu Miu-ს შარშანდელი კოლექციიდან. ვინ იფიქრებდა, რომ მიუჩა პრადა (Miu Miu-ს კრეატიული დირექტორი) გახდებოდა ერთ-ერთი პირველი დიზაინერი, რომელიც გაიმეორებდა 2000-იანი წლების ხელწერას და გავლენას მოახდენდა მოდურ ამინდზე პოპკულტურის ელემენტებით მონოქრომულ სტილში?! სწორედ აღნიშნული ბრენდის გაზაფხული-ზაფხული 2022 აღმოჩნდა სუპერმოდელების საყვარელი კოლექცია, რამაც ტრენდის ვირუსული გავრცელება გამოიწვია. Miu Miu-ს წლევანდელმა ჩვენებამაც ტრიუმფით ჩაიარა.


MIU MIU SS 2022

ამავე ჩვენებაზე შედგა ქართველი მოდელის, მატილდა გვარლიანის დებიუტი, რომელმაც საზოგადოება აღაფრთოვანა



CHANEL SPRING 2023

„როდესაც ქალისთვის პრიორიტეტული არ არის გარეგნული ელეგანტურობა, როდესაც ლამაზად ყოფნის აკვიატება ადგილს უთმობს შინაგანი სილამაზის წარმოჩენას, მაშინ ქალს ყველაფერი აქვს – გარეგნული და შინაგანი მომხიბვლელობის კომბინაცია, ბუნებრიობა, უბრალოება და, ამავდროულად, არისტოკრატიული ვიზუალი“, – ეს კოკო შანელის შეხედულებაა, რომელიც Chanel-ის მოდის სახლის ახალი კოლექციის შექმნისას შთაგონების წყარო იყო.

როდესაც ლამაზად ყოფნის აკვიატება ადგილს უთმობს შინაგანი სილამაზის წარმოჩენას

დამახასიათებელი შავ-თეთრი და პასტელური ფერები მთავარ ხაზად გასდევდა მთლიან კოლექციას, რომელიც ბრენდმა პარიზის მოდის კვირეულის ფარგლებში წარადგინა. ამავე ჩვენებაზე შედგა ქართველი მოდელის, მატილდა გვარლიანის დებიუტი, რომელმაც საზოგადოება აღაფრთოვანა.



SAINT LAURENT SPRING 2023



COPERNI SPRING 2023



VALENTINO SPRING 2023



VICTORIA BECKHAM SPRING 2023

# PARIS






ენტონი ვაკარელოს (SAINT LAURENT-ის კრეატიული დირექტორი) ინსპირაცია ამერიკელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი მართა გრეჰემი იყო. როგორც ვაკარელომ აღნიშნა, მისთვის შთამაგონებელი აღმოჩნდა არა მხოლოდ მართას საქმიანობა, არამედ მისი დამოკიდებულებაც ადამიანებისა და მათი მომხიბვლელობის მიმართ.

„სხეულს შეუძლია თქვას ის, რასაც სიტყვებით ვერ გადმოსცემ“ – მართა გრეჰემი



დიზაინერს მიაჩნია, რომ მისი ნებისმიერი კოლექცია ამაღლებულად წარმოაჩენს ადამიანის ვიზუალურ მხარეს და ხაზს უსვამს გარეგნულ მომხიბვლელობას. ის აჩვენებს, რომ სამოსის ვიზუალთან სინქრონიზებით შესაძლებელია, ადამიანი მთელი თავისი დიდებულებით და გრაციოზულობით წარმოგვიდგეს.

ვაკარელოს ფერთა პალიტრა ამჯერად მისტიკურად მდუმარე იყო. ზეთისხილისფერი, მონოქრომული და შინდისფერი ელფერების ნაზავი ეიფელის კოშკის მიმდებარედ ნამდვილ დღესასწაულს ქმნიდა. სხეულზე გამოკვეთილ პიჟამა–კომბინეზონებს მასიური მხრების მქონე მოსაცმელები და არასტანდარტული დგომის საღამოს კაბები ავსებდა. ფაქტურა და სილუეტები კონსტრუქციულ იერს აძლევდა სრულ კოლექციას. მასიური ვინტაჟური სამკაულებისა და თხელი თავსაბურავების სინთეზი 80–იანი წლების მომხიბვლელ ქალბატონს გაგახსენებდათ, თუმცა დეკადები ვაკარელოსთვის უმნიშვნელოა, რაც დიზაინერს ამოძრავებს, არის ის, სადაც ვართ ახლა.

რომელი ტრენდი გადაიქცევა კლასიკად და დაიკავებს ჩვენს გარდერობში მარადიულ ადგილს, ამას დრო გვიჩვენებს, სეზონური არჩევანი კი თქვენთვის მოგვინდვია. ჩვენ კი ნიუ–იორკიდან დაწყებული, მოდის მთავარი დედაქალაქის, პარიზის ჩათვლით გიზიარებთ ყველაზე დასამახსოვრებელ ჩვენებებსა და მომენტებს.


MILAN
BOSS FALL 2022
MAX MARA SPRING 2023
VERSACE SPRING 2023
New York
CAROLINA HERRERA SPRING 2023
MICHAEL KORS SPRING 2023
VOGUE WORLD - FALL 2022

# საკულტო ჩანთები




გაბრიელ შანელის მიერ 1955 წლის თებერვალში შექმნილი ეს ჩანთა (რის გამოც ეწოდა მას სახელად „2.55“) მაშინვე ჰიტად იქცა და დღემდე ასეა. წარმოების დაწყების მომენტში ჩანთა რევოლუციურ სიახლეს წარმოადგენდა: ქალებს საშუალება მიეცათ, ის მხარზე გადადებული ეტარებინათ, რის წყალობითაც ხელები გათავისუფლდა. ამას კი 21-ე საუკუნეში ოქროს ფასი აქვს. დღეს ეს საკულტო რომბისებრი მოხატულობა, საფირმო ჯაჭვი და „საკეტი მადმუაზელი“ მოდის მიმდევარი ყველა ქალის ოცნებაა.

ზოგიერთი ჩანთა მხოლოდ ერთი სეზონის განმავლობაში გაიბრწყინებს ხოლმე, ზოგიერთი კი ათწლეულების განმავლობაშია მოდაში. ამ ჩანთების მუდმივად მზარდი ღირებულების მიუხედავად, მთელ მსოფლიოში მოდის მიმდევრები მათზე ნადირობენ. მხატვარმა მინახანიმ სალიმოვამ შექმნა იმ რვა საკულტო ჩანთის ილუსტრაციები, რომელთაც საკუთარ გარდერობში მოდის ყველა მიმდევარი ინატრებდა.

**ილუსტრაციები** მინახანიმ სალიმოვა








„გუჩი ჯეკი“ თავიდან „კონსტანსის“ (Constance) სახელწოდებით გამოჩნდა 1950-იან წლებში, მაგრამ ამ ჩანთას 1961 წელს სახელი შეუცვალეს მისი მთავარი თაყვანისმცემლის, ჯეკი კენედის პატივსაცემად. ჩანთა ათწლეულების განმავლობაში იყო „გუჩის“ მთავარი პროდუქტი და 1999 წელს ტომ ფორდმა ის ხელახლა წარადგინა. ათი წლის შემდეგ ფრიდა ჯანინიმ საზოგადოებას წარუდგინა ჩანთის გათანამედროვებული ვერსია, ხოლო 2020-იანი წლების დასაწყისში ალესანდრო მიკელემ „ჯეკის“ კოლექცია ყველასთვის ნაცნობი ფორმის მინიატიურული ვერსიით შეავსო, რამაც ის თანამედროვე, თუმცა საკულტო საგნად აქცია.

## Louis Vuitton



ჩანთა „სპიდი“ (Speedy) კინოვარსკვლავმა გახადა პოპულარული – 1930-იან წლებში შექმნილმა ექსპრეს-ჩანთამ ოდრი ჰეპბერნის წყალობით გაითქვა სახელი, რომელიც „ლუი ვიტონის“ ბრენდის ტყავის აქსესუარების ერთგული თაყვანისმცემელი იყო. ჰეპბერნმა „ლუი ვიტონს“ ჩანთის უფრო კომპაქტური ვერსიის დამზადება სთხოვა. მოდის მიმდევრები ფილმის „საუზმე ტიფანისთან“ ვარსკვლავს უნდა უმადლოდნენ, რომ ახლა მათ აქვთ „სპიდი 25“ (Speedy 25), რომელიც ქალაქური ცხოვრების ელეგანტურ კომპანიონს წარმოადგენს.

## Prada




ჩანთა „კლეოს“ მრუდხაზიანი დიზაინი კიდევ უფრო ტრენდული გახდა ჩვენს დროში 1990-იანი წლების მიმართ ინტერესის ზრდასთან ერთად. ახლა IT ჩანთას მომრგვალებული კონსტრუქცია აქვს, რაც Hobo დიზაინს რბილ და მსუბუქ იერს სძენს. სამკუთხედის ლოგოტიპით დამშვენებული კომპაქტური ჩანთა 2020-იანი წლების „ინსტაგრამის“ ვარსკვლავია. იმის მიუხედავად, რომ მისთვის ჯერ არ შეურქმევიათ გავლენიანი პიროვნების სახელი, შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ ახლა მას ბევრი ცნობილი ადამიანი ატარებს.

## Dior



„დიორის“ სიმბოლოს – ჩანთას თავდაპირველად, 1994 წელს მისი წარმოების დაწყებისას Chouchou ერქვა, რაც ფრანგულიდან ითარგმნება, როგორც „ფავორიტი“. ნამდვილი ისტორია კი ერთი წლის შემდეგ დაიწყო, როცა ის პრინცესა დაიანას საყვარელი ნივთი გახდა, რომელმაც ჩანთა სხვადასხვა ფერში შეუკვეთა. არქიტექტურულ ნიმუშს საკულტო Cannage–ის მოტივებზე, მომრგვალებული სახელურითა და ჩამოსაკიდი ასო–ნიშნებით – D.i.o.r სახელი შეუცვალეს და „ლედი დიორი“ (Lady Dior) უწოდეს. ასე დაიბადა ახალი საკულტო ჩანთა. დაახლოებით 30 წლის განმავლობაში ჩანთის თემის მრავალი ხელახალი ინტერპრეტაცია განხორციელდა, რათა მოდური სტილი შენარჩუნებულიყო.



1930–იან წლებში შექმნილმა სამეფო სილუეტმა სახელწოდება და საერთაშორისო აღიარება 1950–იანი წლების მიწურულს მოიპოვა, როდესაც კინოვარსკვლავს, მონაკოს პრინცესა გრეის კელის გადაუღეს ფოტო ტრაპეციის ფორმის ჩანთასთან ერთად. ამ აქსესუარით ის ცნობისმოყვარეთა მზერას თავისი ფეხმძიმობის პირველ ნიშნებს უმალავდა. დღეს „კელის ჩანთის“ შოვნა ყველაზე ძნელია, რადგან მისი მომლოდინეების სია შეიძლება, ერთ წელზე „გაიჭიმოს“.

## Hermes



## Balenciaga

2000-იანი წლების მოდის ვარსკვლავი, მოტოციკლის ჩანთა ნიკოლა გესკიერმა (Nicolas Ghesquière) შექმნა და ის დღემდე „ბალენსიაგას“ ერთ-ერთ წამყვან ჰიტად რჩება. 2000-იანი წლების ყველა ცნობილი ადამიანის საკულტო IT ჩანთა ყველა ფერის და ყველა ზომა დამზადდა. დიზაინერმა ის ასე დაახასიათა: „ახალია, ახლად შექმნილი, თუმცა გამოიყურება, როგორც ძველი კარგი და მეგობრული ნივთი“. ცნობილ ადამიანთა შორის ერთ-ერთი პირველი, ვინც მოუქნელ ბაიკერის ჩანთას დაუმეგობრდა, კეიტ მოსი იყო, რომელსაც ის მოსინჯვის პროცესში შეუყვარდა და თავისთვის შეუკვეთა. 2001 წლიდან ჩანთა ახალ კულტად იქცა, ხოლო 2020 წელს ბრენდის სამხატვრო ხელმძღვანელმა დემნა გვასალიამ გამოუშვა განახლებული ვერსია, სახელწოდებით „ნეო კლასიკი“, რომელსაც უფრო თანამედროვე დიზაინი აქვს.



## Fendi

სატელევიზიო სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ ეკრანებზე ახლახან დაბრუნდა, მაგრამ ბაგეტი ჩანთა (Baguette bag), რომელს ც კერი ბრედშოუმ გაუთქვა სახელი, მთ ეს წლები ჩვენთან ერთად იყო. ეს ლეგენ რული აქსესუარი 1997 წელს შეიქმნა და პ ლი IT ჩანთა გახდა, რომლის მილიონზე ი ეგზემპლარი გაიყიდა. ვინტაჟური ბაგე ანთები დღეს კიდევ უფრო პოპულარული რადგან ისინი ხასიათითაა სავს

# 3 ცნობილი ჩანთა CELINE

ფრანგული ბრენდის, CELINE-ის სამი საკულტო ნივთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგ
შეიძლება, ჩანთა მოდის სიმბოლოდ იქცეს და ათწლეულები არ დაკარგოს აქტუალ



CELINE AVA

Celine-ის მოდის სახლის 77-წლიანი ისტორია ომის შემდგომ პარიზში დაიწ როდესაც სელინ ვიპიანამ საბავშვო ფე პატარა მაღაზია გახსნა. დრო გადიოდა, ასორტიმენტი იზრდებოდა, მის მფლობე სულ უფრო ხშირად ადარებდნენ კოკო შან ბრენდის კლიენტებს შორის აღმოჩნდნენ მ პრინცი ალბერ მეორე და მისი და – პრინცესა კაროლინა. ელეგანტური სილუეტები, იდეალუ ხარისხი და მდიდრული ფერების სხვადასხვა ელფერი ყოველ სეზონზე იზიდავდა მოდის მოყვარულებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მდებარე Celine-ის ბუტიკებში.

Celine-ის სხვადასხვა ფორმის, ზომისა და სტილის ჩანთები პრემიუმ კლასის მასალისგან მზადდება. განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს ნიანგის ტყავისგან დამზადებული ჩანთები, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევა და მას მხოლოდ ლუქს ბრენდები მოიხმარენ. ნიანგის ტყავის ჩანთები ტყავის სხვა აქსესუარებისგან ბევრი თვისებით განსხვავდება, უპირველესად კი, განსაკუთრებული სირბილითა და ზედაპირის განუმეორებელი ბუნებრივი ნახატით.

Celine-ის კრეატიული დირექტორის თანამდებობაზე სხვადასხვა დროს ლეგენდარული ადამიანები მუშაობდნენ: მაიკლ კორსი, რობერტო მენიჩეტი, ივანა ომაჟინა, ფიფი სილო და ედი სლიმანი – ეს უკანასკნელი ბრენდს დღემდე ხელმძღვანელობს. ყოველი მათგანი Celine-ის ტრადიციულ ფასეულობებს თავისებური სიახლით ავსებდა. ამ ადამიანების ღვაწლის შესახებ ბრენდის განვითარებაში მოდის მცოდნეები დაუსრულებლად ლაპარაკობენ და ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ Celine-ის ჩანთებს არა მხოლოდ მდიდარი წარსული, არამედ დიდი მომავალიც აქვს. საკმარისია, გავიხსენოთ სამი პოპულარული ჩანთის ისტორია:

TRIOMPHE, CLASSIC BOX BAG და AVA

ჩანთა TRIOMPHE-ის „დაბადება“ ერთ ბედნიერ შემთხვევას უკავშირდება. ერთხელ, 70-იანი წლების დასაწყისში, ქალბატონი ვაპიანის მანქანა პარიზის ტრიუმფალური თაღის მოპირდაპირედ გაფუჭდა. დიზაინერს სხვა გზა არ ჰქონდა და ჯაჭვებით გარშემორტყმულ მონუმენტს გაფუჭებული მანქანიდან საკმაოდ დიდხანს აკვირდებოდა. სწორედ მონუმენტმა შთააგონა ვაპიანი, შეექმნა ბრენდის მომავალი ემბლემა და საფირმო პრინტები.



CELINE TRIOMPHE

ამ ლეგენდით შთაგონებულმა ედი სლიმანმა 2018 წელს ხელახალი ინტერპრეტაციითა და დიზაინით წარმოადგინა ნიანგის ტყავის ჩანთა Triomphe და აქსესუარს თაყვანისმცემლებისა და მსურველების მთელი არმია შესძინა.

ნახევარმთვარის ფორმის კომპაქტურ ჩანთას – AVA-ს ირჩევენ ქალები, რომლებსაც 90-იანი წლების ნოსტალგია აქვთ. „ჩანთა-ბაგეტების“ პოპულარობის ტალღაზე შექმნილი აქსესუარი სლიმანმა 2020 წელს ხელახლა გამოიყენა და სხვადასხვა მასალით წარმოადგინა, სელის ქსოვილიდან დაწყებული, ნეილონით დამთავრებული, ფერებიც სხვადასხვა შეარჩია, ლავანდისფრიდან – ლიმონისფრამდე.

ეს ყველაფერი ნიანგის ტყავისგან დამზადებული მოდელით, თანამედროვე it-bag-ით დაგვირგვინდა, რომელიც ტრენდის მიღმა რჩება მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ტყავის დამსახურებით.

Ava ბრენდის ყველა ბუტიკში ხელმისაწვდომი როდია, ნიანგის ტყავის მოდელი კი ძალიან ძვირფასი მონაპოვარია. მათ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს Celine-ის ჩანთების კოლექციონირება, ყურადღება უნდა მიაქციონ CLASSIC BOX BAG-ს. ეს ჩანთა შეგიძლიათ, მხარზე გადაიკიდოთ, ან ხელჩანთად იხმაროთ. მოდის ეს ხატი, რომელსაც ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს, სწორი ხაზების, გლუვი ფურნიტურისა და თვალისგან დამალული ლოგოტიპის იდეალურ კომბინაციას წარმოადგენს – კლასიკა, რომელიც არასდროს გადადის მოდიდან. ნიანგის ტყავის განუმეორებელი ნახატი Classic Box Bag-ის ყოველ მოდელს უნიკალურს ხდის: მსგავსი მოხატულობით მეორე ჩანთა არ არსებობს. სასურველი და თავისებური Celine Triomphe, Classic Box Bag და Ava — ინვესტიციაა, რომელიც დროს არ ემორჩილება. ძვირფასი, ეგზოტიკური ტყავისგან დამზადებული ჩანთები კი სიმდიდრეა, რომელიც თაობებს გადაეცემა.

> “ნიანგის ტყავის განუმეორებელი ნახატი CLASSIC BOX BAG-ის ყოველ მოდელს უნიკალურს ხდის: მსგავსი მოხატულობით მეორე ჩანთა არ არსებობს”



CELINE CLASSIC BOX BAG



# *Moments to remember*

**PHOTO:** ADAM KATZ SINDING
BACKSTAGE AT JIL SANDER FW 2022























JIL SANDER









# SMART & CASUAL

## საოფისე ჩაცმულობის ელეგანტური კომბინაციები და მინიმალისტური სტილის თანამედროვე კერპი - ANOUK YVE

**ტექსტი** დათა ალექსეევი
**ფოტო** პრესმასალა

კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ რეალურად „ახალი ტრენდი" ცივ სეზონზე არ არსებობს

მაშინ, როდესაც გარდერობის წინ დავდგებით და ვფიქრობთ, როგორ შევიმოსოთ ისე, რომ მოდურად გამოვიყურებოდეთ და თან კომფორტულად ვიგრძნოთ თავი, Anouk Yve-ის სტილი, საოფისე სამოსის ელეგანტური კომბინაციები და ფერთა შეხამება ნამდვილად გახდება ჩვენი შთაგონების წყარო.

Anouk Yve-ს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მოდის ინდუსტრიის ქამელეონს. ის მოდის ინფლუენსერი და ბლოგერია. ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი „ინსტაგრამის" პერსონალური ანგარიშიდან გახდა, სადაც 800 000-მდე გამომწერი დააგროვა.

Anouk Yve-ი მინიმალისტური სტილის თანამედროვე კერპია. მას საოცრად ეხერხება Smart & Casual ჩაცმულობის შექმნა სხვადასხვა შემთხვევისთვის. კლასიკური კომბინაციებიდან დაწყებული, ფერების პასტელური ნაზავით დასრულებული, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსი სტილის სამოსის მორგება ისეთივე წარმატებით არის შესაძლებელი ოფისში, როგორც მეგობრებთან ერთად გამართულ საღამოს წვეულებებზე.

იმის მიუხედავად, რომ Anouk Yve-ის სტილი მარტივი, სადა და მონოქრომულია, თუ კარგად დავაკვირდებით, ზოგიერთ ჩაცმულობაში ეთნიკურ დეტალებსაც ამოვიკითხავთ. ფრანგული იერის მისაღებად ბლოგერი ზოლიან სამოსს მინიმალისტურ ბოტილიონებთან ან ტყავის ჩექმებთან ერთად იცვამს, იტალიური განწყობისთვის მისთვის მთავარი იტალიური ფეხსაცმელი – დაბალყელიანი ლოფერი და ზურგზე მოხვეული სვიტერია, რომელიც მარტივად, თუმცა ეფექტურად მიანიშნებს იტალიურ ტემპერამენტზე სტილში. მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში, ახალ გამოწვევებში ჩართვა და ეკლექტიკური კულტურის ადაპტირება Anouk Yve-ის მკაფიო ხელწერაა.

> ახალ გამოწვევებში ჩართვა და ეკლექტიკური კულტურის ადაპტირება ANOUK YVE-ის მკაფიო ხელწერაა



როდესაც მუქ და ნეიტრალურ ფერებზე ვსაუბრობთ, აღსანიშნავია, რომ ისტორიულად ყავისფერი ნაცრისფერ, ლურჯ და შავ ფერებთან შედარებით ყოველთვის უკანა რიგში იდგა, მაგრამ ამ სეზონზე ნეიტრალური ფერები მეტად ტრენდული გახდა, შავ-თეთრის კომბინაციები კი – კიდევ უფრო აქტუალური. მოდის კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ რეალურად „ახალი ტრენდი" ცივ სეზონზე არ არსებობს, რადგან ის, რაც დღეს მოდაშია, 80, 90 და 2000-იანი წლების მივიწყებული სტილიზებული ელემენტებია.





# WINTER ATTITUDE

ZARA

STARRING: ETO MIGRIAULI (GEOMODELS AGENCY)
PHOTO: SHOTA GOTOSHIA
STYLE: DATA ALEKSEEV






















Starring: ETO MIGRIAULI
(GEOMODELS AGENCY)
Apparel: ZARA
MUA: ANA GADELIA
Hair: VIKTORIA GIGIASHVILI
Styling Assistant: NINA SHEKILADZE



# შთაგონება და ბრილიანტები

მოდის სამყაროში კარგად ცნობილი ბრიტანელი დიზაინერი, იუველირი შონ ლინი ბავშვობიდან ოცნებობდა ძვირფასი სამკაულების შექმნაზე. უკვე მოზრდილი, იგი ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კვარტალში, ჰატონ გარდენში, იუველირების სამფლობელოში მოხვდა. სწორედ აქ გადადგა მომავალმა დიზაინერმა პირველი ნაბიჯები თავისი მიზნისკენ, რომელიც შემდეგ მისი ცხოვრების მთავარ საქმედ გადაიქცა.

**ტექსტი** ნიგიარ გაჰრამანოვა **ფოტო** პრესმასალა

1995 წლიდან ლინი Alexander McQueen-ის მოდის სახლთან თანამშრომლობს. ამ თანამშრომლობის შედეგად, ეპატაჟური საიუველირო სამკაულების შექმნისას დიზაინერმა ძალიან დიდი გამოცდილება შეიძინა. 1999 წელს, გრანდიოზული წარმატების შემდეგ, ლინმა მიიღო გადაწყვეტილება და დააარსა საკუთარი ბრენდი Shaun Leane.

მის საყვარელ მასალად რჩება ოქრო – არაჩვეულებრივად პლასტიკური მეტალი, რომელსაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია.



2005 წელს მან მსოფლიოს წარუდგინა ბრილიანტებისა და ოქროსგან შექმნილი კოლექცია, რომელმაც საქვეყნო აღიარება მოუტანა. ბრენდის თაყვანისმცემლებს შორის არიან ჰოლივუდის ვარსკვლავები: სარა ჯესიკა პარკერი, კამერონ დიასი, ქეით მოსი, ემა უოთსონი და სხვა ცნობილი ქალები. ამჟამად დიზაინერი ოქროს, პლატინას



შედევრის შექმნას დიზაინერმა თითქმის ერთი წელი მოანდომა







ბრენდის თაყვანისმცემლებს შორის არიან ჰოლივუდის ვარსკვლავები: სარა ჯესიკა პარკერი, კამერონ დიასი, ქეით მოსი, ემა უოთსონი და სხვა ცნობილი ქალები

და ბრილიანტებს ანიჭებს უპირატესობას. მის საყვარელ მასალად რჩება ოქრო – არაჩვეულებრივად პლასტიკური მეტალი, რომელსაც ნებისმიერი ფორმის მიღება შეუძლია.

დიზაინერის მთავარი შთაგონებაა არ-დეკოს და არ-ნუვოს სტილის ნაკეთობები, ასევე, ვიქტორიანული ეპოქის ხელოვნება, რომლის მოტივებიც მის ყველა კოლექციაში შეინიშნება. თავად ლინის საყვარელი სამკაულია გულსაბნევი White Light. იგი არ მალავს, რომ მის დანახვაზე სიამაყე იპყრობს: ნატიფი ნამუშევარი, დამშვენებული წვრილი ბრილიანტებით, რომლებიც ფხვნილის სახით ფარავენ ნაკეთობის ყველა კუთხეს.

შედევრის შექმნას დიზაინერმა თითქმის ერთი წელი მოანდომა. ამ სამკაულით პირველი ქეით მოსი გამოჩნდა ლონდონში, ერთ-ერთ დახურულ წვეულებაზე. ცალკე აღნიშვნის ღირსია ლინის კიდევ ერთი საყვარელი სამკაული – ყელსაბამი, რომელიც ბრენდ Boucheron-ის 150 წლისთავს მიეძღვნა. იგი მოგვაგონებს თეთრი და ყვითელი ოქროს ელფერების კრებულს, მასზე მიმოფანტული ყავისფერი და თეთრი ბრილიანტებითა და საფირონებით. თავად დიზაინერი ამბობს, რომ ფერთა ასეთი უჩვეულო შეხამებისკენ მას უბიძგა გრაფინია დი კასტილიონეს თვალებმა, რომელთა ფერიც მუქი ცისფრიდან მკვეთრ იისფრამდე იცვლებოდა, დროდადრო თაფლისფერი ელფერით.

ტექსტი ნინიარ გაჭრამანოვა ფოტო კრისმასალე



# გრაციოზული კეკლუცი თამამი

საიუველირო სახლ CARTIER-ს საკულტო სიმბოლო, ცნობილი პანთერა, უკვე მრავალი წელია კოლექციიდან კოლექციაში განსხვავებული ფორმით ჩნდება: თეთრ, ყვითელ ან ვარდისფერ ოქროში გამოსახული, ბრილიანტებით, ზურმუხტებითა და სხვა ძვირფასი ქვებით გარშემორტყმული. ლეგენდარული სიმბოლო პირდაპირ კავშირშია ჟანა ტუსენთან - ქალთან, რომელიც მრავალი წელი CARTIER-ს პარიზის განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ჟანა ტუსენი 1887 წელს დაიბადა ბელგიის პატარა ინდუსტრიულ ქალაქში. მამის გარდაცვალების შემდეგ დედამ ხელმეორედ იქორწინა და გოგონა მამინაცვლისგან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გახდა. ჟანა იძულებული იყო, სახლიდან ბრიუსელში გაქცეულიყო, შემდეგ კი პარიზში გადავიდა, სადაც ბევრი უსიამოვნო თავგადასავლის შემდეგ თავისი მოსაწონი საქმე იპოვა – ქალის პატარა, ლამაზი ჩანთების კეთებას შეუდგა.
1913 წელს კი ჟანას დიდი სიყვარული ეწვია...
ერთხელ პოპულარულ ილუსტრატორ ჟორჟ ბარბიეს იუველირული იმპერიის მფლობელმა ალფრედ კარტიემ ბრილიანტებითა და ონიქსით გაფორმებული ოქროს მაჯის საათის რეკლამა შეუკვეთა. მხატვარს ბევრი არ უფიქრია და აკვარელით დახატა პლაკატი, რომელზეც თავისი მეგობარი ჟანა გამოსახა გრძელი, ფეხის ტერფებამდე ჩამოსული მარგალიტის მძივითა და ფეხებთან მწოლიარე პანთერით. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი...





ამბობენ, რომ ლუი კარტიეს მთელი გულით შეუყვარდა გოგონა პლაკატიდან. მალე მათ ერთმანეთი ჟანას მეგობრის, კოკო შანელის მეშვეობით გაიცნეს და დაიწყო დიდი, საბედისწერო რომანი... ლუი ჟანას „ჩემი პატარა პანთერა“-თი მიმართავდა მისი სპორტული ზნისა და ველური გრაციოზულობის გამო, თუმცა მათ რომანს ქორწინებით დასრულება არ ეწერა. ოჯახის დაჟინებით, ლუიმ ცოლად მოიყვანა უნგრელი არისტოკრატი ქალი, ბუდაპეშტში გადავიდა საცხოვრებლად და არასდროს ყოფილა ბედნიერი, ხოლო ჟანა მრავალი წლის შემდეგ ბარონესა გახდა... თუმცა მათ საქმიან ურთიერთობაზე ამას არ უმოქმედია. ლუი კარტიემ ჟანაში არა მხოლოდ მომხიბვლელი ქალი, არამედ ნიჭიერი დიზაინერიც აღმოაჩინა.
1916 წელს ტუსენი Cartier-ს სახლში აქსესუარების განყოფილების ხელმძღვანელად მივიდა, 1933 წელს კი, პარიზიდან გამგზავრებისას,

ჟანა ტუსენთან დაკავშირებულ **ყველაზე ცნობილ სერიად**, რა თქმა უნდა, მაინც კოლექცია PANTHÈRE-ი რჩება





ლუი კარტიემ ჟანა იუველირული ნაკეთობების კრეატიულ დიზაინერად დანიშნა, რითაც, ფაქტობრივად, მას ბრენდის პარიზის განყოფილების მართვა გადასცა. ამ თანამდებობაზე „ველური კატა“ 1971 წლამდე მუშაობდა. მისი დიზაინით მზადდებოდა ძვირფასი ჩიტები, პეპლები, ჭიამაიები და ჭრიჭინები... მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში, მისი იდეით შეიქმნა ცნობილი გულსაბნევი „ჩიტი გალიაში“ – ოკუპაციის საწინააღმდეგო სიმბოლური პროტესტი. სამკაული ვიტრინაში ერთ-ერთმა გესტაპოელმა შეამჩნია და უმალ მიხვდა ფარულ ჩანაფიქრს. ჟანა დაიჭირეს და სიკვდილისგან ის მხოლოდ კოკო შანელის ძალისხმევამ იხსნა. ომის შემდეგ კი ტუსენმა გულსაბნევის მეორე ვარიანტი შექმნა: ამ შემთხვევაში გალიის კარი ღია იყო, ჩიტი კი, რომელიც საფრანგეთს გამოხატავდა, თავისუფალი!
ჟანა ტუსენთან დაკავშირებულ ყველაზე ცნობილ სერიად, რა თქმა უნდა, მაინც კოლექცია Panthère-ი რჩება. ჯერ კიდევ 1925 წელს მხატვარმა პოლ ჟუვემ, რომელიც კიპლინგის „ჯუნგლების წიგნის“ (იგივე „მაუგლი“) ილუსტრატორი იყო, დახატა პანთერის ესკიზი, რომელიც შემდგომ Cartier-ს სახლის სხვადასხვა ნაკეთობაში აისახა.
პანთერა Cartier კვლავ ვიხილეთ La Panthère-ის ახალ კოლექციაში, რომელშიც წარმოდგენილია ბეჭედი, ყელსაბამი და სამაჯური, დამშვენებული პანთერის ორი თავით: ერთი დამზადებულია ყვითელი ოქროსა და ცავორიტებისგან (იშვიათი მწვანე ძოწი), მეორე კი – თეთრი ოქროს, ბრილიანტების, ონიქსისა და ზურმუხტებისაგან. სამაჯურის ოქროს ორი ფირფიტა ერთმანეთს უკავშირდება ზამბარებით, რომლებიც პანთერების თავებშია მოთავსებული ისე, რომ სამკაულის გაშლისა და შემდეგ კვლავ საწყის პოზიციაში დაბრუნების საშუალებას იძლევა.

1933 წელს კი, პარიზიდან გამგზავრებისას, ლუი კარტიემ ჟანა იუველირული **ნაკეთობების კრეატიულ დიზაინერად დანიშნა**












https://www.facebook.com/GeomodelsAgency

GEOMODELS
studio


# BEAUTY



79

IRAKLI KALANDARISHVILI

# 2000'S VIBE

2000-იანი წლების მოდამ არა მხოლოდ სამოსზე, არამედ მაკიაჟზეც მოახდინა გავლენა. დღეს ისევ მოდაშია კარგად დავიწყებული ისრები, ასევე, მუქი ყავისფერი ან ბორდოსფერი ტუჩსაცხი თვალის ჩრდილებთან კომბინაციაში. იმისათვის, რომ ტრენდულად და, იმავდროულად, ელეგანტურად გამოიყურებოდეთ, გირჩევთ მსუბუქ დეტალებს 2000-იანი წლების ბიუთი-ტრენდებიდან. ვარდისფერი ბლაში, მკრთალი ისრები და მბრწყინავი ჩრდილები სავსებით საკმარისია მოდური ლუქის შესაქმნელად.

1




2




# DISCO MOOD

80-იანი წლების სტილის ინტერპრეტაციები წლის ცხელი ტრენდია. მისი გავლენა მაკიაჟში მკვეთრი დეტალებით გვხვდება: მბზინავი ტუჩსაცხი, თხევადი ჰაილაითერი და ფერადი დეტალები.

1. DIOR, WBCo
2. VENDOR APRIOLY, FENTY BEAUTY BY RIHANNA, SWISS BEAUTY
3. CHANEL, LAURA GELLER, APPENDGRID

3




# EVERYDAY MAKE UP

ე. წ. „ნიუდ" მაკიაჟი არც ამ სეზონზე კარგავს აქტუალურობას. გარშემო მყოფებზე შთამბეჭდავი ეფექტის მოსახდენად სცადეთ CC ან BB კრემი კონსილერთან ერთად, რომელიც სწორად აითვისებს თქვენი კანის პიგმენტს და შედეგად ერთგვაროვანი კანი და ენერგიული გამომეტყველება გექნებათ. მრავალფეროვნებისთვის შეგიძლიათ პასტელის ფერების ჩრდილები გამოიყენოთ.



CHANEL SPRING 2023




# HEALTHY SKIN

ცივ სეზონზე კანს განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. იმისათვის, რომ ნებისმიერი ხასიათის მაკიაჟი ეფექტურად გამოიყურებოდეს, კანის გამოცოცხლება და დატენიანება უმნიშვნელოვანესია.

თქვენს კანს ჯანსაღ და გლუვ იერს მიანიჭებს ინგრედიენტები: ჰიალურონის მჟავა, ვარდის წყალი, ალოე ვერა, შიის კარაქი, ჟოჟობის ზეთი.

2




1

# TEXTURED HAIR

KAIAGERBER




გასული სეზონების განმავლობაში თმის სტილისტები თავისუფალ ვარცხნილობებს ანიჭებდნენ უპირატესობას, დღეს კი ბუნებრივი ტრენდი რეტრო ტალღებმა და მჭიდროდ დავარცხნილმა თმამ შეცვალა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ მოდაშია აქცენტები თმის სტრუქტურაზე და მისი სწორი ფიქსაცია.

3




1. DR. BARBARA STURM, MARIO BADESCU, CHANTECAILLE, KIKO MILANO
2. NUXE, BALMAIN
3. MAISON MARGIELA, MAISON LOUIS MARIE, THE HARMONIST

# SEASONAL SCENTS

რამ უნდა აქციოს ფრაგმენტები ყველაზე დასამახსოვრებელ მოგონებად, თუ არა სუნამომ? შემოდგომა-ზამთრის არომატები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რადგან ცივ სეზონზე თავისუფლად შეგიძლიათ, საკუთარ თავს სურნელოვანი ექსპერიმენტების ჩატარების უფლება მისცეთ. 2023-ის ტრენდული პარფიუმის ინგრედიენტთა ჩამონათვალი კი ასეთია: კედარი, ამბერი, მუშკი, პაჩული, შავი წიწაკა, ნეროლი, მაგნოლია.





# ლიკა ევგენიძის სილამაზის მრავალფეროვანი რუტინა

ლიკა ევგენიძის ცხოვრების სტილი საკმაოდ დატვირთული და მრავალფეროვანია. ყოველდღიურ რიტმში მისთვის ჰარმონია და სულიერი სიმშვიდე მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ბოლო დროს ქართველი ტელესახე ბიუთი-სამყარომაც გაიტაცა და „ინსტაგრამის“ მეშვეობით აქტიურად მოგვითხრობს სილამაზის გამოცდილ მეთოდებზე. სწორედ ის იქნება დღეს ჩვენი გიდი სილამაზის სამყაროში და დაგვათვალიერებინებს კოსმეტიკის ჩანთას – გაგვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას როგორც კანის მოვლის, ისე მაკიაჟის შესახებ.

**ჩემი სილამაზის რუტინა**
ჩემთვის სილამაზის რუტინა ბევრ ასპექტს მოიცავს. ვარჯიში, მედიტაცია, დილიდან არჩევანის გაკეთება დადებით ემოციებზე, რაც მერწმუნეთ, სახის კანზეც აისახება. მახსოვს, ბავშვობაში ბებიაჩემი მეუბნებოდა, რომ შინაგანი განწყობა ყოველთვის აისახება გარეგნობაზე. ასე რომ, ფიზიკური სხეულის მოვლასთან ერთად, საგულისხმოა, არ დაგვავიწყდეს ჩვენი სხვა მნიშვნელოვანი ნაწილები იმისთვის, რომ მთლიანობა შეიკრას.

**კანის სწორად მოვლის 3 პრინციპი**
საკმაოდ ბევრი წელი დამჭირდა იმისთვის, რომ ჩემი კანის გასაღები მეპოვა. საბოლოოდ მივხვდი, რომ არ უნდა დავუთმო დრო მექანიკურ ჩარევებს. კვირაში ერთხელ ექსფოლიატორის გამოყენება სავსებით საკმარისია. ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სრულყოფილად მოვიშორო მაკიაჟი. დემაკიაჟისთვის ორსაფეხურიან რუტინას ვირჩევ. ვიწყებ მიცელარული წყლით და შემდეგ სახის ნაზი საპნით ვიშორებ მაკიაჟსა და დღის განმავლობაში დაგროვილ ჭუჭყს. სანამ დატენიანებაზე გადავალ, იმისათვის, რომ კანმა Ph ბალანსი აღიდგინოს, ვიყენებ ტონერს, შემდეგ სტანდარტულად სახის დამატენიანებელ შრატსა და სახისა და თვალის საცხებს. მიყვარს ნიღბები და სახის მასაჟორები, არაჩვეულებრივია ნაოჭების პრევენციისთვის, სილამაზის რუტინასაც მეტად მრავალფეროვანს ხდის. მზის მავნე გამოსხივებისგან დაცვა ნებისმიერ სეზონზე გადამწყვეტია ჩემთვის და ყოველთვის ვიყენებ დამცავ საცხს SPF 50 ფილტრით.

**ჩემი** Make Up
მაკიაჟისადმი ჩემი სიყვარული ორ ნაწილად იყოფა – სატელევიზიო და ყოველდღიური. ტელევიზიაში ყოველთვის ჩემით ვიკეთებ მაკიაჟს, მგონია, რომ ისე არავინ იცნობს ჩემი სახის ნაკვთებს, როგორც მე. მიყვარს როგორც ინტენსიური, ისე ბუნებრივი მაკიაჟი. ძალიან მომწონს ე. წ. Smokey eyes მბზინავ ტუჩთან ერთად, ასევე, მსუბუქად დატვირთული თვალები და წითელი ტუჩსაცხი. ტელევიზიისთვის ჩემი საყვარელი კოსმეტიკა არის Nars Cosmetics და ბოლო დროის ყველაზე საყვარელი ჩრდილების პალეტი – Revolution Cosmetics. ყოველდღიურად შანელის CC კრემს ვხმარობ, რომელიც სახის კანის ერთგვაროვან იერზეა პასუხისმგებელი.

**დრო, რომელსაც საკუთარ თავს ვუთმობ…**
საკუთარი თავისთვის დროის დათმობა აუცილებელია, მით უმეტეს, ტექნოლოგიების და სოციალური ქსელების გარემოში. ესთეტიკურ მხარესთან ერთად ჩემთვის მედიტაცია, კითხვა და მუსიკის მოსმენა არის საუკეთესო საშუალება იმისთვის, რომ ყველა სხვა ხმა ჩავახშო და საკუთარი თავის მოსმენა არ დამავიწყდეს. ემოციური ბალანსისთვის აუცილებელია ბუნებასთან კონტაქტი და იმის არდავიწყება, რომ ბუნების ნაწილი უფრო ვარ, ვიდრე ბეტონის კედლებისა. ჩვენი წინაპრები უსმენდნენ ბუნებას და იცოდნენ მასთან საკონტაქტო ენა, – ის მუდმივად არის კომუნიკაციაში ჩვენთან, თუმცა ბოლო დროს ნაკლებად გვესმის მისი. ვცდილობ, მუდმივი პრაქტიკით ეს ბალანსი დავიბრუნო. იმავეს ვიტყოდი კანის მოვლაზეც: დღეისათვის უამრავი რეკომენდაციის მოსმენა შეგვიძლია, თუმცა, უპირველესად, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უნდა მოვუსმინოთ ჩვენს სხეულს, კანს, ამის მიხედვით გამოსავალს და პასუხებს უფრო მარტივად და სასიამოვნოდ აღმოვაჩენთ.

ჩემთვის სილამაზის რუტინა ბევრ ასპექტს მოიცავს. ვარჯიში, მედიტაცია, დილიდან არჩევანის გაკეთება დადებით ემოციებზე, რაც მერწმუნეთ, სახის კანზეც აისახება

**ინტერვიუ** დათა ალექსეევი **ფოტო** სალი დუნდუა








1. REVOLUTION – თვალის ჩრდილების პალიტრა
2. BYREDO – სუნამო
3. RODIAL – თხევადი ფერუმარილი
4. CHANEL – CC კრემი
5. NARS – ქონსილერი
6. ATTIRANCE – კბილის ძაფი
7. MAC – ტუჩსაცხი
8. SHISEIDO – ჰაილაითერი
9. ONE SIZE – თვალის ფანქარი და ტუში
10. CHANEL – ხელის კრემი





# Both sides now

**PHOTO** SALI DUNDUA **STYLE** DATA ALEKSEEV







model ELENE IASHVILI
MUA: ANA GADELIA
Hair: VIKTORIA GIGIASHVILI
Jewelry: LIYA




# კარაპს მედლაინის

## თავის მოვლის სერვისები

შინაგანი ჰარმონია ფიზიკური და სულიერი ბალანსით მიიღწევა. ესთეტიკური კლინიკა „კარაპს მედლაინი" ჰარმონიას ესთეტიკასა და ურთიერთობებში ნახულობს და მომხმარებლების შინაგან თუ გარეგნულ სიჯანსაღეზე პერსონალური მიდგომით ზრუნავს. „კარაპს მედლაინის" ვაკის ფილიალში, რომელიც ფალიაშვილის N 41-ში მდებარეობს, ყველაფერია, რაც საკუთარ თავზე ზრუნვასა და საუკეთესო შედეგის მიღწევაში დაგეხმარებათ.

CARAPS
MEDLINE



აპარატი მრავალფუნქციურია და განკუთვნილია დერმატოლოგიური, კოსმეტოლოგიური, თმის ცვენის, ქირურგიული, გინეკოლოგიური, ხვრინვის და ძილის აპნოეს პრობლემების სამკურნალოდ

**HYDRAFACIAL - აპარატურული სახის წმენდა**

HYDRAFACIAL N1 სახის გაწმენდის, მოვლისა და დატენიანების ამერიკული ბრენდია. აპარატურული პროცედურა ღრმად წმენდს, ასუფთავებს და ატენიანებს კანს. პროცედურა 5 ეტაპისგან შედგება: სახის კანის მომზადება, დარბილება, ექსფოლაცია, შავი წერტილებისა და ფორების წმენდა, T ზონის ექსტრაქცია, ზედაპირული პილინგი, კანის დატენიანება სპეციალური შრატით, უინიექციო მეზოთერაპია უნიკალური შრატით, ლედ–თერაპია წითელი და ლურჯი სხივებით, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და ერთგვაროვანს ხდის კანის ფერს. პროგრამას თითოეულ მომხმარებელს ინდივიდუალურად ურჩევს ექიმი დერმატოლოგ–კოსმეტოლოგი.






**FOTONA SP DYNAMIS**

FOTONA SP DYNAMIS კანის ლაზერული გაახალგაზრდავების უახლესი თაობის, ინოვაციური აპარატია. კანის გაახალგაზრდავების არაინვაზიური, ლაზერული პროცედურის დროს აქტიურდება კოლაგენისა და ელასტინის სინთეზი, რაც დერმის სრულ რემოდელირებას და კანის ბუნებრივ გაახალგაზრდავებას იწვევს. FOTONA SP DYNAMIS–ის აპარატი ლაზერის რამდენიმე სხივის უნიკალურ კომბინაციას აერთიანებს. სხვა ლაზერული აპარატებისგან განსხვავებით მას გრძელი იმპულსური სხივი აქვს, რომელიც კანში 5-6 მმ სიღრმემდე აღწევს. უსაფრთხო, ზუსტად კონტროლირებადი და ოპტიმალური იმპულსებით პროცედურა არა მარტო ვიზუალურად აქრობს პრობლემურ ადგილებს სახესა და კანზე, არამედ უზრუნველყოფს სისხლძარღვთა სისტემის გამართულ მუშაობას, რაც მიღებული შედეგის გრძელვადიან ეფექტს განაპირობებს.

აპარატი მრავალფუნქციურია და განკუთვნილია დერმატოლოგიური, კოსმეტოლოგიური, თმის ცვენის, ქირურგიული, გინეკოლოგიური, ხვრინვის და ძილის აპნოეს პრობლემების სამკურნალოდ. ეს აპარატი საოცარ შესაძლებლობებს აძლევს როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს, რომ დიდხანს შეინარჩუნონ ახალგაზრდული იერსახე.



„ᲙᲐᲠᲐᲞᲡ ᲛᲔᲓᲚᲐᲘᲜᲨᲘ“ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲑᲠᲔᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ: SKINCEUTICALS, BIOLOGIQUE RECHARCHE, SENSELF □□ ZEG SKINCARE



**სახის კანის აპარატურული დიაგნოსტიკა 3D ანალიზატორით**
JANUS II
სახის კანის აპარატურული დიაგნოსტიკა კანის მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლის, სწორი დიაგნოზის დასმისა და შემდგომი მკურნალობის ეფექტიანად დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა. ულტრათანამედროვე 3D ანალიზატორი (JANUS II FACIAL ANALYSIS SYSTEM 3D) კანის შრეებს სიღრმისეულად შეისწავლის, რომლის მიხედვითაც, ჩვენი ექიმი დერმატოლოგ–კოსმეტოლოგები მომხმარებლისთვის ჩასატარებელ პროცედურებსა და კანის მოვლის საშუალებებს ინდივიდუალურად გეგმავენ და არჩევენ. „კარაპს მედლაინში“ ხელმისაწვდომია ისეთი ბრენდების პროდუქცია, როგორიცაა: SkinCeuticals, Biologique Recharche, Senself და Zeg Skincare.

**Deka MOTUS AX – უახლესი თაობის კონტაქტური ლაზერის აპარატი**
Deka MOTUS AX – მედიცინის და ესთეტიკის სინერგიით შექმნილი უახლესი თაობის კონტაქტური ალექსანდრიტის აპარატი არასასურველ თმასთან ბრძოლის უსაფრთხო და ეფექტიანი ტექნოლოგიაა.
MOTUS AX–ის კონცეფცია 4 ფუნდამენტურ პრინციპს ეფუძნება: ეფექტიანობა, სისწრაფე, უსაფრთხოება და სიმარტივე.
აპარატის ძლიერი და სწრაფი ტალღის სიგრძე ნებისმიერი ტიპის თმას, მათ შორის თხელს, ღია ფერის და გარუჯულ კანს უმკლავდება. ალექსანდრიტის სხივი სელექციურად მოქმედებს კანზე, სწრაფად და უსაფრთხოდ აღწევს მის სიღრმეში და აშორებს არასასურველ თმას.
აპარატის თავი მოყინვის მეთოდით პროცედურის უმტკივნეულობას უზრუნველყოფს.

**სხეულზე ორიენტირებული თერაპია**
სხეულზე ორიენტირებული თერაპია ჯანსაღი ცხოვრების წესს და ორგანიზმის ერთ მთლიან სისტემად ქცევას, მის სწორ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. სხეულზე ორიენტირებული თერაპიის განუყოფელი ნაწილია მასაჟი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის სასიცოცხლო ენერგიით ავსებას, კანის სტრუქტურულ გაჯანსაღებას, ფორმების კორექციას, მეტაბოლური ცვლის აჩქარებას, ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის, ტოქსინების გამოდევნას და კუნთოვანი სისტემის გათავისუფლებას.

**სახის ბუკალური მასაჟი**
ბუკალური მასაჟი სახის სკულპტურული მასაჟის სახეობაა. პროცედურა ხელს უწყობს სახის კონტურის გამოკვეთას, მიმიკური ნაოჭების გაქრობას და გამოირჩევა ანტისტრესული ეფექტით.

**კრიომასაჟი**
კანის ღრმა აშრევებაა, რომელიც სპეციალისტის მიერ თხევადი აზოტით ხორციელდება. კრიორელაქსი ააქტიურებს ლიმფოდრენაჟს და უზრუნველყოფს დამწვარი ცხიმოვანი უჯრედების გამოყოფას.

**ინიექციური პროცედურები**
ბიორევიტალიზაცია, შემავსებელი ფილერი, მეზოთერაპია, პლაზმოთერაპია, ბოტულინოთერაპია. კლინიკა „კარაპს მედლაინში“ კანის ინიექციურ პროცედურებს სერტიფიცირებული ექიმი დერმატოლოგ–კოსმეტოლოგები ატარებენ პაციენტისთვის გაწერილი ინდივიდუალური პროგრამით და FDA–ს მიერ დადასტურებული პრეპარატების გამოყენებით.



ბრენდის ხედვა კანის მოვლის შესახებ ბუნებრივი ინგრედიენტების, კონცენტრირებული ნედლეულის გამოყენებას, კლინიკურ მიდგომასა და ინოვაციურ პროცედურებს აერთიანებს



**თმის მოვლა**
თმის მოვლა ყოველდღიური რუტინის განუყოფელი ნაწილია, სწორად შერჩეული პროცედურები კი – სასურველი შედეგის მიღების მთავარი წინაპირობა. „კარაპს მედლაინი“ თმის მოვლის მიმართულებით გთავაზობთ როგორც ინიექციურ, ისე ლაზერულ პროცედურებს: თმის სტრუქტურის გაჯანსაღება, ცვენის პრევენცია, დატენიანება, ბზინვარება და მოცულობის აღდგენა.

**BIOLOGIQUE RECHERCHE თავის მოვლის პერსონალიზებული ხაზი**
„კარაპს მედლაინი“ BIOLOGIQUE RECHERCHE–ის პროდუქციის სრულ სპექტრს და ინდივიდუალურად შერჩეულ სახის და სხეულის პროცედურებს გთავაზობთ.
BIOLOGIQUE RECHERCHE–ის პროდუქცია საფრანგეთში, ბრენდის კუთვნილ კვლევით ლაბორატორიებში მზადდება.
ბრენდის ხედვა კანის მოვლის შესახებ ბუნებრივი ინგრედიენტების, კონცენტრირებული ნედლეულის გამოყენებას, კლინიკურ მიდგომასა და ინოვაციურ პროცედურებს აერთიანებს, რაც BIOLOGIQUE RECHERCHE–ის პროდუქციისა და მეთოდოლოგიის ეფექტიანობას განსაზღვრავს.
პროდუქცია არ შეიცავს ხელოვნურ არომატიზატორებს, სინთეტიკურ საღებავებს, სილიკონებს, პარაბენებს და საეჭვო ეფექტის მქონე ინგრედიენტებს.

პროდუქცია არ შეიცავს ხელოვნურ არომატიზატორებს, სინთეტიკურ საღებავებს, სილიკონებს, პარაბენებს და საეჭვო ეფექტის მქონე ინგრედიენტებს

**საოფისე გინეკოლოგია**
საოფისე გინეკოლოგია ქალებს მშობიარობის და გადატანილი ტრავმების შემდგომ, თანდაყოლილი ან შეძენილი ესთეტიკური პრობლემების მოგვარებას სთავაზობს, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად უმჯობესდება ქალის ინტიმური ზონის ჯანმრთელობა და ცხოვრების ხარისხი.
აღნიშნული ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება სრული რეპროდუქციული რგოლის და მასთან დაკავშირებული სხვა სისტემების კვლევას, დიაგნოსტირებას და მკურნალობას მოიცავს. ამ მიმართულების სერვისებია: ყელის, საშვილოსნოს და ვულვის დაავადებების ადრეული დიაგნოსტირება ინოვაციური კოლპოსკოპის - DY-SIS-ის საშუალებით, ინფექციების დიაგნოსტიკა PCR მეთოდით, Monalisa Touch - ლაზერული თერაპია მენოპაუზასთან დაკავშირებული პრობლემების, სექსუალური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და სხვა ესთეტიკური გინეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად. საოფისე გინეკოლოგიის ფარგლებში, აგრეთვე, შესაძლებელია საოფისე ჰისტეროსკოპიის ჩატარება.

**პლასტიკური ქირურგია**
პლასტიკური ქირურგია – ცვლილებების სამყარო, რომელიც მეცნიერებასა და ხელოვნებას აერთიანებს და ადამიანებს სასურველი ვიზუალის მიღწევაში, თავდაჯერებულობის, განწყობისა და თვითშეფასების ამაღლებაში ეხმარება. „კარაპს მედლაინის“ პლასტიკური ქირურგიის მიმართულების წარმატებას განსაზღვრავს როგორც პლასტიკური, ისე რეკონსტრუქციული ქირურგიის მხრივ არსებული სიახლეების დანერგვა, განხორციელება და პაციენტებისთვის მათი დროულად შეთავაზება.



NARGIS

FASHION, ART AND BEAUTY




www.nargismagazine.ge





# LIFE STYLE

IRAKLI KALANDARISHVILI





# ორი ლეგენდის მემკვიდრე

Charlotte

საფრანგეთში ამბობენ, რომ ყოველი კაცი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ყოფილა შეყვარებული შარლოტა გენსბურზე. იგი ვარსკვლავად 5 წლის ასაკში იქცა, როდესაც კატრინ დენევის გმირის ქალიშვილის როლი შეასრულა ფილმში „სიტყვები და მუსიკა“. შემდეგ იყო მამამისის, ცნობილი შანსონიეს, სერჟ გენსბურის სკანდალური კლიპი. მოზარდობაში შარლოტა მუსიკამ გაიტაცა და მამის კვალზე წასვლას აპირებდა, თუმცა როდესაც ისეთი რეჟისორებისგან მიიღო შეთავაზებები, როგორებიც არიან: ვიმ ვენდერსი, ანიეს ვარდა, ალეხანდრო გონსალეს ინიარიტუ და ლარს ფონ ტრიერი - მან დედის, ჯეინ ბირკინის პროფესია, მსახიობობა არჩია.

უახლოეს წარსულში ეკრანებზე გამოვიდა რამდენიმე ფილმი მისი მონაწილეობით. მაგალითად, მისი ქმრის, ივან ატალის „ადამიანური საქმეები“, სადაც მთავარ როლს მათი შვილი, ბენ ატალი თამაშობს. „დაისში“ გენსბურმა განასახიერა მდიდარი მემკვიდრე, რომელსაც მექსიკაში გაიტაცებენ. „ღამის მგზავრებში“ კი მისი პერსონაჟი, ორი შვილის დედა, ძალას იკრებს, რომ ქმრის წასვლის შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყოს. უკანასკნელი წლების მთავარ მოვლენად მისი სარეჟისორო დებიუტი გახდა. ფილმი „ჯეინი შარლოტას თვალებით“ დედას მიუძღვნა.

**ინტერვიუ** ტატიანა როზენშტაინი
**ფოტო** პრესმასალა

ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთისგან შორს ვიყავით, მაგრამ ძალიან იშვიათად ვურთიერთობდით

**როგორ დაიბადა ფილმის იდეა?**
თავდაპირველად ასეთი გეგმა არ ყოფილა. უბრალოდ, მინდოდა პირისპირ დავრჩენილიყავი დედასთან, რომელსაც იშვიათად ვხვდებოდი, დავახლოებოდი, უკეთ გამეგო მისი.

**არ იყავით მასთან ახლოს?**
ვერ ვიტყვი, რომ ერთმანეთისგან შორს ვიყავით, მაგრამ ძალიან იშვიათად ვურთიერთობდით. მშობლების დაშორების შემდეგ მამასთან დავრჩი. მამა ყოველთვის პირველ ადგილზე იყო ჩემთვის. მისი საყვარელი ქალიშვილი ვიყავი, დედას კი ჩემ გარდა სხვა შვილებიც ჰყავდა. ქეითის დაბადების შემდეგ დედას რთული პერიოდი დაუდგა. შემდეგ მე დავიბადე, კიდევ 11 წლის შემდეგ კი – ლუ. იმ მომენტიდან მასში თითქოს დედობრივმა ინსტინქტმა გაიღვიძა: დაიწყო სახლზე ზრუნვა, სადილების მომზადება, თუმცა ამ დროისთვის მე უკვე დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე. მამის მსგავსად ვწერდი და ვასრულებდი სიმღერებს, დედის მსგავსად კი – ფილმებში მიღებდნენ. ბავშვობაში ვოცნებობდი დედაზე, რომელიც ნორმებს შეესაბამებოდა, დღეს კი მესმის, რომ ეს სულელური ოცნება იყო. როგორ შეიძლება, ასეთ ადამიანს მოსთხოვო, იყოს ისეთი, როგორიც ყველა! მოზარდობაში დედას დავშორდი. ის მიიჩნევდა, რომ ჩავიკეტე და მისთვის უცხო გავხდი. არაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ გულის სიღრმეში მინდოდა, ჩემს დებს დავმსგავსებოდი, რომლებიც მეტად უშუალოები და კომუნიკაბელურები იყვნენ, მაგრამ ასეთი ქცევა არ გამომდიოდა. და აი, 5 წლის წინ ვიგრძენი, რომ დადგა დრო, გავერკვე ჩემს გრძნობებში დედის მიმართ და გადავწყვიტე, მას ყურადღებით დავკვირვებოდი. ერთგვარი ავტორიზაცია დამჭირდა და ეს ფილმის გადაღება გახდა.



ბავშვობაში ვოცნებობდი დედაზე, რომელიც ნორმებს შეესაბამებოდა, დღეს კი მესმის, რომ ეს სულელური ოცნება იყო ❞

5 წლის წინ ვიგრძენი, რომ დადგა დრო, გავერკვე ჩემს გრძნობებში დედის მიმართ



ამერიკელების უმეტესობამ არც კი იცის, ვინაა სერჟ გენსბური, ხოლო სახელი BIRKIN-ი მეტად ასოცირდება HERMÉS-ის ❞ ლეგენდარულ ჩანთასთან

**როგორ აეწყო თქვენი ურთიერთობა ფილმის გადაღებისას?**
თავიდან ყველაფერი ცუდად დაიწყო. იმ დროისთვის ამერიკაში ვცხოვრობდი და დედას იშვიათად ვნახულობდი. გადავწყვიტე, გადაღებები მისი იაპონიაში გასტროლების დროს დამეწყო. დედასთან კულისებში კამერით მივედი და შოუს დასრულების შემდეგ შეკითხვების დასმა დავუწყე. პანიკამ მოიცვა, მითხრა, რომ თავი დაკითხვაზე ჰგონია და კამერის გამორთვა მთხოვა. ამან გამაბრაზა, ვერ მივხვდი, რას ვაკეთებდი არასწორად – მე ხომ ძალიან მარტივ კითხვებს ვსვამდი! გამოვრთე კამერა და ნიუ-იორკში დავბრუნდი. გარკვეული დროის შემდეგ დედა თვითონ ჩამოვიდა ჩემთან შტატებში. ამ ჯერზე მე თვითონ უფრო ფრთხილი და წინდახედული ვიყავი.

**ამერიკაში როგორ აღმოჩნდით?**
იქ პირადი კრიზისის, ჩემი დის გარდაცვალების შემდეგ წავედი. მომწონდა ნიუ-იორკში ცხოვრება, უფრო ხშირად მქონდა შთაგონება, უფრო მარტივად ვწერდი მუსიკას, რაღაცას ვქმნიდი... ევროპაში კარგად მიცნობენ და იციან ჩემი ოჯახის ისტორია. დღემდე ვერ ვეგუები, რომ მიუხედავად ბევრი გამოშვებული დისკისა, ფილმებში კი – როლებისა, მაინც ცნობილ მშობლებთან აკავშირებენ ჩემს სახელს. ისინი ლეგენდები იყვნენ. ამერიკაში კი მე – მე ვიყავი, უბრალოდ, მომღერალი და მსახიობი. მომწონს მათი საქმიანი და სწრაფი ცხოვრების წესი, უშუალო ჩაცმის სტილი, ისინი არ ფიქრობენ, რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს სხვებზე. ამერიკელების უმეტესობამ არც კი იცის, ვინაა სერჟ გენსბური, ხოლო სახელი Birkin-ი მეტად ასოცირდება Hermés-ის ლეგენდარულ ჩანთასთან, რომელიც დედაჩემის პატივსაცემადაა შექმნილი.



HERMES BIRKIN – მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჩანთა. ის ხელით მზადდება მხოლოდ შეზღუდული რაოდენობით. მასზე კოლექციონერები „ნადირობენ". საკულტო მოდელის ყიდვის მსურველები წლობით ელიან თავიანთ რიგს. მისი დაბადება კი ერთი შემთხვევითი შეხვედრის დამსახურებაა...

ჯეინ ბირკინი არ იშორებდა წნულ ჩანთა-კალათას, რომელიც გამუდმებით სავსე იყო სხვადასხვა ნივთით. 1984 წელს, თვითმფრინავით მგზავრობისას ჩანთა-კალათამ უმუხთლა და ნივთები გაიფანტა. სანამ ჯეინი ნივთებს აგროვებდა, ლაპარაკი გააბა ჟან-ლუი დიუმასთან, Hermes-ის აღმასრულებელ დირექტორთან, რომელიც იმავე რეისით მგზავრობდა. ჯეინმა მას შესჩივლა, რომ ლუქს-ბრენდები არ უშვებენ ჯიბეებიან ჩანთებს... და იქვე, ქაღალდის პაკეტზე, რომელსაც მგზავრებს ურიგებენ, ჩაიხატა მომავალი Birkin-ის პირველი ესკიზი. ჯეინის თქმით, მათ მოიგონეს ჩანთა, რომელიც Kelly-ზე დიდია, თუმცა სერჟ გენსბურის ჩემოდანზე პატარა. დღეს ეს მცირე ზომის ჩანთა საუკეთესო ინვესტიციადაა მიჩნეული. ის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული ჩანთაა მსოფლიოში და მისი ფასი ყოველწლიურად იმატებს. პრაქტიკული ჯეინი ახალ ჩანთას ყიდულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ძველი ცვდება. მან გაყიდა თავისი მოკრძალებული Birkin-ის ჩანთების კოლექცია, თანხა კი ქველმოქმედებას მოახმარა.



PHOTO JEROME PREBOIS

პირველი შესაძლებლობისთანავე ევროპაში გავიქეცი, თუმცა კარანტინში მყოფი პარიზიც საშიშად და უხალისოდ მეჩვენა ”






PHOTO JEROME PREBOIS

ვერ ვიტყვი, რომ სიბერის მეშინია, უბრალოდ, არ მომწონს ეკრანზე დაბერება

**რატომ გადაწყვიტეთ ევროპაში დაბრუნება?**
ევროპაში ტრამპის გამარჯვების შემდეგ დავბრუნდი. მისი ხმა ისმოდა ყველგან – რადიოში, ტელევიზიით, ქსელებში. ეს გაუსაძლისი იყო! მისი გავლენით შტატებმა შეცვლა დაიწყო და არც თუ ისე კარგ მხარეს. შემდეგ დაიწყო პანდემია. მოულოდნელად ჩემი ქმრისა და შვილებისგან მოწყვეტილი აღმოვჩნდი. ისინი ევროპაში იყვნენ, მე – ამერიკაში. ასეთი იძულებითი იზოლაცია მაშინებდა, მეგონა, ვერასდროს ვნახავდი ჩემი ოჯახის წევრებს... მოკლედ, პირველი შესაძლებლობისთანავე ევროპაში გავიქეცი, თუმცა კარანტინში მყოფი პარიზიც საშიშად და უხალისოდ მეჩვენა. შიშმა შემიპყრო. და აქ გამოჩნდა ის. იცით, დედას არასდროს ესმოდა, როგორ მოჰქცეოდა შვილებს





ჩვეულებრივ ყოფაში, თუმცა მასში ყოველთვის იღვიძებდა დედური ინსტინქტი, თუკი გრძნობდა, რომ საფრთხეში ვიყავით. ვფიქრობ, მისგან შესანიშნავი მედდა დადგებოდა. დედა ჩამოვიდა და თავისთან, ბრეტანში წამიყვანა. სწორედ იქ გავაგრძელეთ ფილმზე მუშაობა. ერთგვარი ლირიკული დღიური გამოვიდა, რომელიც სავსეა გულწრფელი აღიარებებითა და მოგონებებით. დედა ლაპარაკობს საკუთარ შიშებზე, დანაშაულის გრძნობაზე, რომელიც განსაკუთრებით გაუმძაფრდა ქეითის სიკვდილის შემდეგ. ჯონ ბარისთან თავის პირველ ქორწინებასაც კი იხსენებს და, რა თქმა უნდა, მამაჩემს.

**ამ მოგონებებიდან ყველაზე მეტად რომელმა აგაღელვათ?**
დედა გამოტყდა, რომ მთელი ეს წლები მამაჩამის სახლში, ვერნეის ქუჩაზე დაბრუნებაზე ოცნებობდა. ამან ძალიან გამაკვირვა. ეს სახლი დღეს ჩემი დახმარებით მუზეუმადაა ქცეული. დედა დიდხანს აპირებდა ჩემთვის ეკითხა, შესაძლებელია თუ არა ამ სახლის მონახულება, მას ძველ მოგონებებთან დაბრუნება სურდა... თუმცა არ მეკითხებოდა, რადგან იცის ჩემი სათუთი დამოკიდებულება მამის და იმ სახლის მიმართ, რომელთანაც ამდენი მოგონება მაკავშირებს, მე კი არ მიყვარს მოგონებების სხვებისთვის გაზიარება. რა თქმა უნდა, მას უარს არ ვეტყოდი იმის მიუხედავად, რომ მძიმედ გადავიტანდი 30 წლის წინანდელი მოვლენების ხელახლა განცდას. ძალიან მგრძნობიარე ვარ ჩემი მემკვიდრეობის მიმართ, თემებთან, რომლებიც მამაჩემს ეხება და არ მიყვარს ჩემი ცხოვრების გარკვეული დეტალების გახსენება.

**კიდევ რა არ გიყვართ?**
სარკეში ყურება. განსაკუთრებით, ბოლო დროს. ყოველ ჯერზე ახალ ნაოჭებს ვპოულობ. არ მომწონს მათი დიდ ეკრანზე დანახვა. კამერა დაუნდობლად აჩვენებს ყველა ნაკლს. ვერ ვიტყვი, რომ სიბერის მეშინია, უბრალოდ, არ მომწონს ეკრანზე დაბერება.
მძულს საკუთარი სიმორცხვე და ვერაფრით ვიშორებ მას, თუმცა ასაკთან ერთად უფრო თამამი გავხდი. დღეს უკვე ისე აღარ მრცხვენია, თუკი გადაღების დროს სიტყვები მავიწყდება.

**საკვირველი არაა, როდესაც წარმატებული კინომსახიობი თავის სიმორცხვეს აღიარებს?**
ვფიქრობ, ცნობილი ხალხის შვილებს ხშირად ახასიათებთ სიმორცხვე.

ძალიან მგრძნობიარე ვარ ჩემი მემკვიდრეობის მიმართ, თემებთან, რომლებიც მამაჩემს ეხება და არ მიყვარს ჩემი ცხოვრების გარკვეული დეტალების გახსენება ”





ახლო ურთიერთობა მხოლოდ ოჯახის წევრებთან და ჩემს ქმართან მაქვს
”

წარმოიდგინეთ, რამდენი სკოლა გამოვიცვალე მშობლების გამო, რომლებიც ყოველ თვე ჟურნალების გარეკანებზე კაშკაშებდნენ! მე-8 კლასში უკვე მეც დავიწყე ფილმებში გადაღება. 13 წლის ასაკში, როდესაც შვეიცარიაში გადამიყვანეს სკოლა-ინტერნატში, ჩემი ცხოვრება უფრო მშვიდი გახდა. მშობლებმა მეტი დამოუკიდებლობა მომცეს, ნება დამრთეს, მევლო გადაღებებზე და კანადაშიც კი წავსულიყავი და იქ მარტოს მეცხოვრა სასტუმროში. შევეჩვიე მარტოობას და ამიტომ მეგობრები ან სხვა მიჯაჭვულობები ნაკლებად მქონდა. ახლაც ბევრი არაფერი შეცვლილა, ახლო ურთიერთობა მხოლოდ ოჯახის წევრებთან და ჩემს ქმართან მაქვს.

**თქვენი სიმორცხვით როგორ თამაშობდით ლარს ფონ ტრიერთან?**
ალბათ, ჰიპნოზში ჩამაგდო. ამ შემთხვევაში რეჟისორის ნებისმიერ ბრძანებას ვემორჩილები, მათ შორის, ვიხდი. მახსოვს, როგორ დამიბარა ტრიერმა პირველად ქასთინგზე.

მან არ წამაკითხა ნაწყვეტები სცენარიდან და ამის ნაცვლად უცნაურ შეკითხვებს მისვამდა: როგორი ბავშვობა მქონდა, მაქვს თუ არა პანიკური შეტევები, რისი მეშინია ყველაზე მეტად... გადაღებების დროს კი გამომიტყდა, რომ მსახიობების უმრავლესობა მუშაობის დაწყებისთანავე გარბის მისგან, მაგრამ მან ზუსტად იცოდა, რომ ჩემთან მსგავსი არაფერი მოხდებოდა. სიმართლე რომ ვთქვა, მომწონდა კიდეც საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვა და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ჩემი შესაძლებლობების გამოცდა. ბოლო-ბოლო ასე იქცევიან ჩემი გმირები. მასთან მუშაობის შემდეგ ვგრძნობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გავაკეთე, გარკვეულ მწვერვალებს მივაღწიე კინოში.

**როგორ მიმდინარეობს ხოლმე გადაღებები თქვენს ქმართან, ივან ატალთან?**
ივანი საკმაოდ ცივსისხლიანი რეჟისორია. გადაღებების დროს ის ჩემი ქმარი აღარაა და მთლიანად ფილმითაა მოცული. ასეთ წუთებში მთელი სამყარო მის ირგვლივ ტრიალებს. ამიტომ, სხვა რეჟისორებთან შედარებით, ჩემს ქმართან გადაღება ყველაზე მეტად მიძნელდება. ხშირად ვღელავ და მიჭირს, რომ განვეწყო. განსაკუთრებით რთულად მეჩვენა როლი ჩვენს ბოლო ფილმში, სადაც დედის როლს ვასრულებ, ხოლო შვილს ჩვენი ვაჟი თამაშობს. იმ კოშმარის გავლამ მომიწია, რომელსაც გადის ყველა დედა, როდესაც მისი შვილი უარყოფს იმ ფასეულობებს, რითაც იზრდებოდა.

**აფასებთ თქვენს თავს მთლიანობაში, როგორც წარმატებულ, იღბლიან შემოქმედებით ადამიანს?**
წარმატებულს? ერთმნიშვნელოვნად – არა. არასდროს ვუყურებ საკუთარ ფილმებს. ვფიქრობ, მომწონს, როდესაც განვიცდი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პასიურად ვიღებ ცხოვრებას და არ ვებრძვი სირთულეებს. უბრალოდ, მეტისმეტად თვით კრიტიკული ვარ, არ ვაძლევ საკუთარ თავს ზედმეტ თავისუფლებას. იმისთვის, რომ კმაყოფილი და ბედნიერი ვიყო, მჭირდება კედლები, რომლებსაც დავანგრევ და წინაღობები, რომლებსაც დავძლევ.

მასთან მუშაობის შემდეგ ვგრძნობდი, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გავაკეთე. გარკვეულ მწვერვალებს მივაღწიე კინოში







იმისთვის, რომ კმაყოფილი და ბედნიერი ვიყო, მჭირდება კედლები, რომლებსაც დავანგრევ და წინაღობები, რომლებსაც დავძლევ
”

# N Ch

*თუ გსურს, შეგიძლია, შენი ნამდვილი არსება იპოვო და არ ეძიო საკუთარი თავის ასლი...*

## ნინო ჩუბინიშვილი

ნინო ჩუბინიშვილისთვის, ჩემი ხედვით, დღევანდელი სამყარო ერთგვარი სიმულაციაა, ადამიანი საკუთარი ნებით ეთანხმება იმას, რომ ჰგავდეს სხვას და იჯერებს, რომ ინდივიდუალურია. ეს ერთგვარი შეთანხმებული ტყუილია... არადა, პარადოქსია - ჩვენს დროს ინდივიდუალიზმის ეპოქა ჰქვია.

ხელოვანისთვის ნებისმიერი ეპოქა საინტერესოა და ფიქრობს, რომ ყველა დრო გაძლევს სივრცეს, აღმოაჩინო შენი თავი. თუ გსურს, შეგიძლია, შენი ნამდვილი არსება იპოვო და არ ეძიო საკუთარი თავის ასლი...

**ინტერვიუ** ნინო მურღულია ფოტო სალი დუნდუა





**ქალბატონო ნინო, რა არის თქვენთვის შემოქმედებითი პროცესი?**
ანდრეი ტარკოვსკი ერთ ინტერვიუში ურჩევს რეჟისორებს, თავად ემსახურონ შემოქმედებას და არ ეცადონ მის გამოყენებას. ჩემთვის შემოქმედებითი პროცესი არის მნიშვნელოვანი და მის დინებაში ყოფნა – მსახურება... მეც უკვე დიდი ხანია, ხელოვნებას ვემსახურები, ყველა ეტაპზე მახსენდება ტარკოვსკის ეს ფრაზა და თავიდან ვეთანხმები მას. შემოქმედებითი პროცესი ცოცხალი პროცესია, ახლის დაბადებაა. ამას რაციონალურად ვერ ახსნი. როგორიც უნდა იყოს თანამედროვეობა და სისტემის და ბაზრის მოთხოვნა, არსებობს რაღაცები, რაც მას ვერ დაექვემდებარება. საბედნიეროდ, კანონზომიერება არსებობს დროისა და მოვლენების მიღმა. სიტყვა „პროდუქტი“ და ხელოვნების ნიმუში ორი სხვადასხვა რამ არის. პროდუქტს გამოიყენებ ფუნქციონალურად, ხელოვნებას – ვერა... და თუ ქმნი გამოსაყენებლად, მაშინ ეს უხილავი პროცესი გაგრიყავს ღრმა სინამდვილიდან – და სწორედ პროდუქტი გამოვა. წარმოიდგინეთ, სიქსტეს კაპელას ან პირამიდას პროდუქტის დანიშნულება რომ ჰქონოდა... პროცესი ცოცხალი არსებასავითაა. ის რიყავს არაბუნებრივ დამკვირვებელს და გამომყენებელს. ის თითქოს მიკროფიზიკის და სიყვარულის კანონებს მეტად მაგონებს და სამყაროს კანონებს...
ეს კონსუმერული მოდგომა ხელოვნების მიმართ პატარა ვირუსია, რომელიც ხელოვნებას არ უყვარს. ზოგიერთს ადამიანი ფულისთვის, ძალაუფლებისთვის, კომფორტისთვის – ჰგონია, რომ უყვარს... იქაც ეს ვირუსია... კონფორმისტი კონსუმერის ოცნებებით გაბერილი...





ნებისმიერ ხელოვნების ნაწარმოებში მიყვარს, როცა მიტოვებენ თავისუფლებას, სივრცეს სააზროვნოდ. მეც ვუტოვებ სხვას სივრცეს, რომ თავად იფიქროს, განიცადოს...



**როგორია თქვენი საპნებისა და სანთლების სერიის კონცეფცია, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ შექმენით?**
ჩემი საპნებისა და სანთლების სერია, რომელიც დაახლოებით ორი წელია, რაც შევქმენი, ნელ-ნელა მიიღებს მთლიანი პროდუქტის სახეს. სრული კონცეფცია ეტაპობრივად ყალიბდება. პრინციპში, არ ვჩქარობ. მასზე მუშაობის პროცესი ორი წელი გაგრძელდა, მაგრამ მგონია, რომ სწორ მომენტში დასრულდება.
ეს არის სკულპტურები, რომელთა საშუალებითაც იბან სახეს, ხელებს, სუფთავდები.
ეს არის ხელოვნების ნიმუშები.
თავის თავში ეს რაღაცას გულისხმობს.
ვფიქრობ, ვინც მას შეიძენს, თვითონვე დაებადება შეგრძნებები, აზრები. ნებისმიერ ხელოვნების ნაწარმოებში მიყვარს, როცა მიტოვებენ თავისუფლებას, სივრცეს სააზროვნოდ. მეც ვუტოვებ სხვას სივრცეს, რომ თავად იფიქროს, განიცადოს...



**სიმარტივე არ გიყვართ?**
უბრალოდ, არ მიყვარს ხელოვნურად გამარტივება. სწრაფად გაგებული – ინფორმაციაა და არა ცოდნა. გაგებას დრო სჭირდება. ის, რაც გვესმის, არ ნიშნავს, რომ გავიგეთ. სწრაფი ნაწარმი სწრაფად გვაკმაყოფილებს მხოლოდ, ვერ ვიტყოდი, რომ რამე სარგებელი მოაქვს ჩვენთვის.

ადამიანი ცეკვავს ისე, როგორც თავად ეცეკვება, მაგრამ ახლა იზრდება და ვიღაც „ინსტაგრამზე" ასწავლის, როგორ იმოძრაოს. ეს რაღაც გაგებით ზუსტად ის უნიფორმაა, რაც კომუნისტების დროს იყო



ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲐ ᲐᲠᲪ ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲐᲠᲪ ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ – ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲐᲚᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲮᲐᲖᲘ, ᲡᲐᲐᲖᲠᲝᲕᲜᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ



ახლა ატომური ბომბის აფეთქების, ამ კონსუმერიზმის პიკურ მომენტში ვცხოვრობთ – „ზაბრისკი პოინტის“ ფინალურ სცენაში, მიქელანჯელო ანტონიონის შედევრში. გრძელი, შენელებული კადრია... ამ სუროგატების აფეთქების.
დღეს ეს კრიტიკული მომენტია, როცა ადამიანი ერთმანეთისგან ვერ და არ არჩევს ორიგინალსა და ასლს, ეს ორიგინალის იდეის კრიზისია, ეს ადამიანის მგრძნობელობის კრიზისია.
ადამიანი ეძებს სწრაფ შთაბეჭდილებას და ის გულგრილია პროცესის მიმართ. მხოლოდ ორიგინალი შეიცავს პროცესს, ცოცხალ ენერგიას, შინაარსსა და განცდას.
ხელოვნება არ დაწყებულა არც გუშინ, არც გუშინწინ – ეს არის სამყაროს ალტერნატიული ისტორიის უწყვეტი ხაზი, სააზროვნო სივრცე ტერიტორიის გარეშე. ის არ დაბადებულა არც საქართველოში, არც ევროპაში, არც სადმე სხვაგან. ამ სფეროში გლობალიზმია. ჩინელის ხელოვნება ქართველს ესმის და პირიქით... ხელოვნების ენა უნივერსალურია. ადამიანებს გვაქვს ურთიერთგაგების ბუნებრივი უნარი. ეს ენა ბავშვებმა იციან.

**დაგითმიათ რაიმე საკუთარი პრინციპების სანაცვლოდ?**
ბევრი რთული პერიოდი გამივლია, ბევრი რამ მიცდია... რომ არ ჩამეთვალა თავი ჯიუტ, პრინციპულ ადამიანად. ყველას თავისი სტრატეგია აქვს შიდა სამყაროსი გარე სამყაროს მიმართ. ყველაფერს ვერც აუჯანყდები, ვერც დაეთანხმები.



ადამიანი ცეკვავს ისე, როგორც თავად ეცეკვება, მაგრამ ახლა იზრდება და ვიღაც „ინსტაგრამზე“ ასწავლის, როგორ იმოძრაოს. ეს რაღაც გაგებით ზუსტად ის უნიფორმაა, რაც კომუნისტების დროს იყო.

**დღეს მოდაშიც ყველაფერი „ფასტ ფუდია“?**
მოდა ინდუსტრიაა, დროის მოთხოვნებს მიჰყვება. იმ მომენტში პოლიტიკა და ეკონომიკა კარნახობს გზებსა და ტრენდებს.

**დემნა გვასალიაზე რას ფიქრობთ? არის ის ქართული მოდის წარმომადგენელი?**
დემნაში რაც მომწონს, არის ის, რომ ქართველიცაა, საბჭოელიც, ევროპელიც. სრულიად თავისი თავია. საკუთარ თავს ატარებს და უნივერსალურ რევოლუციებს ახდენს. ფაქტობრივად, პოლიტიკური დიზაინერია, რომელიც სისტემას არაჩვეულებრივად ეურთიერთება. იუმორი აქვს. საკუთარი შეხედულებების ერთგულია. არაჩვეულებრივი ადამიანი...



მაკლია მუზეუმები, იმ რაოდენობის, რაც საჭიროა, საგალერეო სივრცეები... არ არსებობენ ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც აზროვნების რიტორიკას შექმნიან, დიდი დრო არ გვქონია, რომ ამდენ ხალხს ესწავლა



**საქართველოში ხელოვანებისთვის როგორი გარემოა?**
საქართველოში ბოლო დროს უამრავი საინტერესო ხდება ამ სფეროშიც, ვითარდება ბევრი რამ. ხელოვნების კეთების დრო ყოველთვის არის, უამრავი საინტერესოდ მოაზროვნე ადამიანი გაჩნდა. ხელოვნებისთვის ცუდი დროა თუ კარგი, ეს არ ვიცი. ჩემს თავსაც ვეკითხები ამას.
მე რა მაკლია, ამას გეტყვით – ძალიან მაკლია მუზეუმები, იმ რაოდენობის, რაც საჭიროა, საგალერეო სივრცეები... არ არსებობენ ხელოვნებათმცოდნეები, რომლებიც აზროვნების რიტორიკას შექმნიან, დიდი დრო არ გვქონია, რომ ამდენ ხალხს ესწავლა. დრო სჭირდება, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად შეიქმნება...





# თანამედროვე ქართველი არტისტის გზა საერთაშორისო წარმატებამდე

ნათია ჭიჭინაძე

„იყო ქალი მუსიკოსი საქართველოში - ქვეცნობიერად ეს ძალიან სერიოზული სტრესია... „ამას შენით აკეთებ, თუ გეხმარებიან?“ - ამ კითხვებს ხშირად სვამენ მაშინ, როდესაც კაც არტისტს ამას არავინ ჰკითხავს. მნიშვნელოვანია ამ დამოკიდებულების შეცვლა!“ - ნათია ჭიჭინაძე, იგივე CREAMS არცერთ კრიტიკულ შეფასებას არ შეუჩერებია, რომ გამხდარიყო პირველი არტისტი საქართველოდან, რომელიც ამერიკულ გლობალურ ლეიბლთან თანამშრომლობს და მასთან შვიდწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. იგი, ასევე, პირველია თანამედროვე ქართველ მუსიკოსებს შორის, ვისი კომპოზიციაც პოპულარული სერიალის („ლუციფერი“) ერთ-ერთ ეპიზოდში აღმოჩნდა.

იანვარში ნათია ჭიჭინაძის მორიგ პროექტს ვიხილავთ, ახალ ვიდეორგოლს, რომელზეც პროფესიონალებთან ერთად იმუშავა და რომლის გადასაღებად დიდხანს ემზადებოდა.

ნათია ჭიჭინაძე - განსაკუთრებული ხელწერის ვიზუალური არტისტი და მუსიკოსი, რომელიც სიმღერებს თავად წერს, „ნარგისის“ პირველი ვებქავერის მთავარი გმირია.

**ინტერვიუ** ნინო მურღულია

## რასაც ჩვენთან აკეთებენ არტისტები, გაცილებით უფრო ავთენტიკურია, ამიტომ საქართველოში თავს უფრო კარგად ვგრძნობ...

მე ვიყავი პირველი არტისტი საქართველოში, ვინც მსოფლიო ლეიბლთან გააფორმა ხელშეკრულება

**შენი მელანქოლიური მუსიკა შენი ხასიათიდან გამომდინარეობს?**
არ ვიცი. ზოგადად, მოთხოვნილება მაქვს, რომ მელანქოლიური მუსიკა დავწერო, ტექსტიც და მელოდიაც, ჩემს შინაგან რაღაცებზე ბევრს ვლაპარაკობ, სხვანაირად არ გამოდის... მაგრამ, ზოგადად, არ ვარ დეპრესიული, ამის მიუხედავად მაჟორული მუსიკის წერა არასდროს მინდება. ცხოვრებაში ჰიპერაქტიური ვარ, სიჩუმე არ მომწონს, მაგიჟებს!.. ბათუმში გავიზარდე, დიდ სახლში, სადაც ბევრნი ვცხოვრობდით. დილას, როცა ვიღვიძებ, მუსიკას ვუსმენ, პოდკასტებს, ვკითხულობ, მერე მუსიკას ვქმნი, რომ მოვრჩები, აუცილებლად ვინმეს ნახვა მინდება. წინა წელს ბერლინში ვცხოვრობდი მარტო და არ ვიყავი კომფორტულად... ამასთან ერთად, რასაც ჩვენთან აკეთებენ არტისტები, გაცილებით უფრო ავთენტიკურია, ამიტომ საქართველოში თავს უფრო კარგად ვგრძნობ.

**შეიძლება, ზოგს გაუკვირდეს, როგორ გახდა პოპულარული შენი მუსიკა საქართველოში, სადაც უმრავლესობა ქართულენოვან საქეიფო სიმღერებს ანიჭებს უპირატესობას, ასევე, პოპს...**
ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ვწერ ქართულ ენაზე. ახლა ამერიკულ ლეიბლთან ვთანამშრომლობ და, რა თქმა უნდა, ამიტომაც ვწერ ინგლისურად. მაქვს რამდენიმე ქართულენოვანი სიმღერაც, რომლებიც ძალიან მომწონს, მაგრამ ბავშვობიდან ინგლისურ ენაზე ვკითხულობ. ქართულად ყოველ მეოთხე წიგნს ვკითხულობ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართულად წავიკითხო. ინგლისური ჩემთვის უფრო კომფორტულია შემოქმედებითი თვალსაზრისით, ინგლისურად უფრო მარტივად მეთქმის რაღაცები.

**შენს პირველ წარმატებად რომელ სიმღერას მიიჩნევ?**
Sleep on Me – მისი მონოტონურობა მომწონს, მაშინებს, დისკომფორტის შეგრძნებას მიჩენს და მსიამოვნებს, როგორც, მაგალითად, სამსაათიანი ფილმები, რომლებიც რამდენიმე დღე გაგყვება და საფიქრალს გიჩენს. ზუსტად ვიცი, რანაირი მუსიკა უნდა დავწერო, რომ ყველამ მოუსმინოს, მაგრამ არ გავაკეთებ – მილიონი ოქროს წესი არსებობს, როგორ დაწერო ტრეკი ისე, რომ ადამიანის გონებაში ჩაჯდეს, სწორი მიმდევრობით.

**შენ ხარ იმ მცირერიცხოვან ქართველ მუსიკოსთა შორის, რომლებმაც საერთაშორისო წარმატება მოიპოვეს. ამერიკულ ხმის ჩამწერ სტუდიასთან როგორ დაიწყე თანამშრომლობა?**
ეს შემთხვევით მოხდა. მე ვიყავი პირველი არტისტი საქართველოში, ვინც მსოფლიო ლეიბლთან გააფორმა ხელშეკრულება. ისეთი აღფრთოვანებული არ ვარ, როგორც ხალხი. ვიღაცები მიმახვილებენ ხოლმე ყურადღებას, მაგრამ მე თითქოს მიღწევად არ აღვიქვამ.







ჩემმა მშობლებმა რომ დააფასეს პირველად ჩემი მუსიკალური ავანტიურები, ამის გამო უფრო მეტად მივიჩნევ მიღწევად. მშობლებისთვის ხომ მნიშვნელოვანია შემოსავალი – რაც უნდა გენიალურს ქმნიდე, თუ ფულს არ გიხდიან, სისტემური აქტი თუ არ შედგა, იქამდე არ აღიარებენ. ამერიკაში მივდივარ–მეთქი, რომ ვუთხარი, ტრეფიკინგის მსხვერპლი ხომ არ გახდებიო, მკითხეს... ალბათ, ჩემი მშობლების ვალიდან მთელი ცხოვრება ვერ ამოვალ, მაგრამ საერთოდ არ მიფიქრია ტრეფიკინგზე, პრობლემებზე და მას შემდეგ დავფიქრდი. მაინც გავემგზავრე და გამიმართლა. წინასწარ ვნახე ინფორმაცია, დავგუგლე, სად მივდიოდი... ამერიკულ ლეიბლთან კონტრაქტი შვიდწლიანია. პირველ ალბომს რომ ჩავაბარებ, თუ არ მომეწონება, რთული იქნება, მაგრამ კონტრაქტის გაწყვეტა შემიძლია. ხელშეკრულებას 2020 წლის მარტში მოვაწერე ხელი, მეორე დღეს კორონას პანდემია გამოცხადდა, თუმცა ჩვენი თანამშრომლობა არ გაწყვეტილა... სანამ ამ კომპანიას „სონი“ იყიდდა, მანამდეც საკმაოდ შემოსავლიანი იყო. ახალ არტისტებს ეძებენ და თუ გაუმართლათ, ეს ყველაფერი ძალიან დიდ ფულს უკავშირდება. მთელი პანდემიის განმავლობაში მუსიკის გარდა ერთი დღეც არ გამიკეთებია არაფერი, თუმცა მეგონა, ამ პერიოდში უფრო პროდუქტიული ვიქნებოდი, მაინც სულ პანდემიის დასრულებას ველოდებოდი... საკმაოდ ცუდი პერიოდი იყო.

საქართველოში ახალ პროდუქტს რომ გამოუშვებ, ძაღლებს უგდებ გასაგლეჯად. ამას პლუსიც აქვს და მინუსიც

**ნათია, კრიტიკას თუ კითხულობ, თუ გაინტერესებს, ვინ რას ამბობს შენს შემოქმედებაზე?**
საქართველოში ახალ პროდუქტს რომ გამოუშვებ, ძაღლებს უგდებ გასაგლეჯად. ამას პლუსიც აქვს და მინუსიც. ყველას ჰგონია, რომ ყველაფერი იცის. „პროფესორები“ გამოგიხტებიან, გაკრიტიკებენ, მაგრამ ეს იმუნიტეტს აჩენს... ევროპაში ყველა იმდენად კორექტულია, იშვიათად, რომ ვიღაცამ გაგაკრიტიკოს, უფრო – კონსტრუქციული იქნება ნათქვამი. აქ კი არავინ დაგინდობს. კრიტიკას გავითვალისწინებდი, მუსიკაზე რომ იყოს, მაგრამ „წადი, დაიძინეს“ რომ გწერენ, ამას ვერ გავითვალისწინებ!

ვიზუალური მხარე ხშირად მეხმარება მუსიკის დაწერაში. ზოგჯერ მუსიკის შექმნისას წარმოვიდგენ, როგორი კლიპი მოუხდებოდა

**„ლუციფერში“ შენი სიმღერის გამოყენებამ რა მოგიტანა?**
ტექნიკურად ვუყურებ: იმ ეპიზოდს მოუხდა და ჩასვეს. პოპულარობაზე არ ვიცი, მაგრამ სტატუსზე უფრო იმოქმედა – რადგან იქ გამოიყენეს, ე.ი. ხარისხიანს აკეთებ. „ეიფორიამაც“ გამომართვა ერთი ტრეკი, მაგრამ არ გამოიყენეს, სამწუხაროდ.



ჩემი მუსიკა არ განსაზღვრავს ჩემს სტილს, რაც მომწონს, იმას ვიცვამ

**შენი კლიპებიდან გამომდინარე შეგვიძლია, თავისუფლად ვთქვათ, რომ ვიზუალური არტისტი ხარ...**
50/50-ზე ვარ და ეს საკმაოდ დიდი წილია. ზოგს მუსიკის გარდა არაფერი აინტერესებს, სხვათა შორის, ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩემთვის ვიზუალიც მნიშვნელოვანია. ჩემს გარემოცვაში ბევრი ხელოვანია, უმეტესობა მუსიკოსია. ყველა სხვადასხვანაირად მუშაობს. მე ვიზუალური მხარე ხშირად მეხმარება მუსიკის დაწერაში. ზოგჯერ მუსიკის შექმნისას წარმოვიდგენ, როგორი კლიპი მოუხდებოდა.

**კლიპში და პერფორმანსების დროს იგრძნობა, როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებ ჩაცმულობას...**
ძალიან კარგი მეგობრები მყავს, რომლებიც მეხმარებიან, მაგრამ საბოლოო ჯამში მე ვამბობ, რა მინდა. ბოლო კლიპში ჩემმა მეგობრებმა – სალომემ და ქეუმ იმუშავეს სეტზე, ჩაცმულობის შერჩევაშიც მომეხმარნენ. სალომემ იპოვა ადამიანი, რომელიც ვიქტორიანული ეპოქის ვინტაჟურ სამოსს ყიდის. კლიპში თუ ლაივზე ჩემთვის ჩაცმულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი მუსიკა არ განსაზღვრავს ჩემს სტილს, რაც მომწონს, იმას ვიცვამ. ქართველ დიზაინერებთანაც ვთანამშრომლობ. რაღაცას რომ ვიღებ, სამოსს და აქსესუარებს უმეტესად ქართველი დიზაინერები გვაწვდიან. ახლახან ულამაზესი ფეხსაცმელი მათხოვეს ნინა ივანოვამ და ნიკოლოზ გრიგორიანმა. ეს ფეხსაცმელი კლიპის პერსონაჟიც კი გახდა...

**პერფორმანსების დროს რა არის შენთვის მნიშვნელოვანი?**
ლაივების წინ ისეთი აჟიტირებული ვარ ხოლმე, ზოგჯერ რამდენიმე წუთით გადამიწევია კიდეც დაწყება. ცუდად გავხდი, მაგრამ სცენაზე რომ ავდივარ, ყველაფერი მავიწყდება. სცენიდან მიხხუბია კიდეც. ვიღაცები მეუბნებიან, რომ ასე არ შეიძლება, ზოგი მიწონებს ამ საქციელს. ლაივი გამიჩერებია და მაყურებლისთვის მითქვამს, თუ არ გაჩერდებით, არ გავაგრძელებ-მეთქი. ეს არის არტისტის უპატივცემულობა...

**ხედავ საკუთარ ადგილს საქართველოში წლების შემდეგ?**
ბერლინში ცხოვრება ვიცოდი, არ მომეწონებოდა, ამერიკაში რომ ჩავედი, უფრო მეტად მომეწონა. ლოს-ანჯელესში ბევრ სტუდიაში ვიყავი, მუსიკოსები გავიცანი, უბრალოდ, ცოტა დრო მქონდა და მუსიკის დისტანციურად კეთება არ მომწონს. ახლა მინდა, ცოტა ხნით ნიუ-იორკში გადავიდე საცხოვრებლად...







Apparel: UTA BEKAIA X LIKA EVGENIDZE (MELANCHOLIA COSTUME PROJECT) & NATIA'S WARDROBE
MUA: ANA GADELIA
Hair: BESSARIONI
Assistant: SOPHO KARICHASHVILI





საქმიანობისას ჩემთვის მთავარი კვლავ ენთუზიაზმია, რომელიც არ დამიკარგავს, ეს არის ჩემი მამოძრავებელი ძალა და ბევრი სირთულის გადალახვაში მეხმარება

# ყველაზე წარმატებული არქიტექტურული პროექტების ავტორი

## გიორგი ხმალაძე

KHMALADZE ARCHITECTS-ის დამფუძნებელი, არქიტექტორი გიორგი ხმალაძე საქართველოში ყველაზე გამორჩეული შენობების ავტორია, რომელთა შორისაა „მაკდონალდსი“ ბათუმში და „მეამა“ თბილისში. ორივე ნამუშევრისთვის ავტორს არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული.
საკუთარი ხელწერით ნამუშევრების შექმნას პროფესიული უნარების გარდა ძალიან დიდი მოთმინება და სიჯიუტის გამოვლენა სჭირდება. ამბობს, რომ საკუთარი პერფექციონიზმი ზოგჯერ აწუხებს კიდეც, მაგრამ, თუკი თავად მის ციტატას მოვიშველიებთ, „100%-ით, ალბათ, ვერასდროს ვიქნები კმაყოფილი საკუთარი ნამუშევრით...“

**ინტერვიუ** ნინო მურღულია **ფოტო** სალი დუნდუა



Alliance Highline

ჩვენი გადაწყვეტილებები კონკრეტულ არგუმენტებს ეფუძნება, რთულია ხოლმე ამის ახსნა და ესეც ჩვენი საქმის ნაწილი გახდა...

გავიზარდე გარემოში, რომელიც დაკავშირებული იყო მამაჩემის, პროფესიით არქიტექტორის, სახელოსნოში თამაშთან. ხატავდა, მაკეტებს აკეთებდა... ცოტა რომ წამოვიზარდე, მეც ვეხმარებოდი, მერე თავად ვამზადებდი მაკეტებს. არქიტექტურისადმი სიყვარული პირდაპირ თავს არავის მოუხვევია, მაგრამ ცოტა ირიბად ასე გამოვიდა. ხშირად მეუბნებოდა, ეს პროფესია დაგტანჯავსო. მის დროს, სრული სტაგნაციის ეტაპზე, არქიტექტორობა ბევრად რთული იყო. რასაც აკეთებდა, ფაქტობრივად, ვერაფერი ხორციელდებოდა, ფურცელზე რჩებოდა. მენანება ის ენერგია, რომელიც საკუთარ პროფესიაში ჩადო, მაგრამ დაიკარგა.
დრო შეიცვალა, დღეს ცოტა სხვა სიტუაციაა. მამაჩემის წუხილის მიზეზი განუხორციელებელი პროექტები არ იყო. ხანდახან ახლაც მაქვს ხოლმე შეგრძნება, თითქოს ზოგიერთი დამკვეთი ბოლომდე ვერ იგებს, რა ენერგია და შრომაა ჩადებული ჩვენს საქმეში. მარტივად გვეტყვიან ხოლმე, იქნებ ეს შეცვალოო. ჩვენი გადაწყვეტილებები კონკრეტულ არგუმენტებს ეფუძნება, რთულია ხოლმე ამის ახსნა და ესეც ჩვენი საქმის ნაწილი გახდა...
თავიდან სამხატვრო სკოლაში დავდიოდი, შემდეგ სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე. პარალელურად, ვცდილობდი, საკუთარ თავზე მემუშავა, ვმონაწილეობდი კონკურსებში. მაშინ რაც პროექტდებოდა, არ მომწონდა და კომპანიებში არ მინდოდა მუშაობა. სამშენებლო კომპანიები ისეთ შენობებს აგებდნენ, რაც ჩემთვის უინტერესო იყო.

**გზა ჰარვარდისკენ**

ყველა ადამიანი, ვისაც უნდა, პროფესიაში ცოდნა გაიღრმაოს, კარგ სასწავლებელში ჩაბარებას ცდილობს. როცა სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, ვცდილობდი, მემოგზაურა და მომენახულებინა სხვადასხვა უნივერსიტეტი ევროპასა თუ ამერიკაში. ერთი პერიოდი ლონდონში ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტურულ სასწავლებელში ჩავაბარე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ იქ ცხოვრებას ვერ გავწვდებოდი.





შემდეგ აშშ-ში გავემგზავრე, რამდენიმე უნივერსიტეტი მოვინახულე და ყველაზე მეტად ჰარვარდის უნივერსიტეტი მომეწონა, – ბევრად განსხვავდებოდა საკუთარი ინფრასტრუქტურით. იელშიც ვიყავი და კოლუმბიის უნივერსიტეტშიც, თუმცა ჰარვარდი ბევრისთვის იქნებოდა სასურველი, ალბათ...
ჩემი სამაგისტრო პროგრამა წელიწად-ნახევრის განმავლობაში გაგრძელდა. მეორე წელი ორ სემესტრად გავყავი, გვქონდა ამის შესაძლებლობა და სხვა ჩემთვის საინტერესო არასავალდებულო ლექციებსაც ვესწრებოდი.
მრავალფეროვნება და არჩევანის საშუალება რაღაცების ფართოდ დანახვის საშუალებას იძლევა. ბევრ რამეს სხვანაირად შევხედე. ერთ სივრცეში საინტერესო ადამიანები შეიკრიბნენ, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით იყვნენ ძლიერები. პირადი საუბრებისას შეიძლება, უფრო ბევრი რამ გაგეგო, ვიდრე აუდიტორიებში.

**პროექტი, რომელმაც სამშობლოში დააბრუნა**

საქართველოში „სოკარის“ პროექტმა დამაბრუნა, ბათუმში „მაკდონალდსის“ შენობას ვგულისხმობ. ბევრი ჩემი კურსელი დარჩა აშშ-ში. მე წამოვედი იმიტომ, რომ ეს პროექტი საინტერესოდ მიმაჩნდა. საქართველოში დაბრუნებაც მინდოდა, ვხედავდი, რომ არსებობდა საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობები. კი, თავიდან ეს ძალიან რთული იყო, მეტი ჭიდაობა გჭირდებოდა ყველაფრისთვის... აშშ-ში რიგით თანამშრომლად უნდა დამეწყო მუშაობა და გადაწყვეტილებების მიღებამდე დიდი გზა იყო გასასვლელი, საქართველოში კი ამისთვის მოკლე გზას ვხედავდი.
რამდენიმე კომპანიას გვთხოვეს, ჩვენი შეთავაზება გაგვეკეთებინა. ჩემი ესკიზი მოეწონათ. „სოკარის“ პროექტის შემთხვევაში, შემიძლია ვთქვა, რომ ჩანაფიქრის 85% განვახორციელეთ. თან მაშინ ნაკლები გამოცდილება მქონდა და ისეთი ნდობა არ იყო, როგორიც ახლაა – ზურგს წარმატებული პროექტები გვიმაგრებს. ორი წელი დღე და ღამე გვქონდა გაერთიანებული, მაგრამ შედეგად ღირდა.

საქართველოში დაბრუნებაც მინდოდა, ვხედავდი, რომ არსებობდა საკუთარი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობები

Socar + Mcdonalds batumi





Meama - coffee production plant

**საერთაშორისო პრიზები და დიდი წარმატება**

„მეამას“ შენობისთვის ბევრი საერთაშორისო პრიზი გვაქვს მიღებული. ამ პროექტმა ერთ კონკურსში ხუთ ნომინაციაში გაიმარჯვა. ამ შემთხვევაში დამკვეთს თავადაც კარგი სურვილები ჰქონდა და ჩანასახშივე ხვდებოდა ჩვენს ჩანაფიქრებს. ასეთი სინერგიის შედეგია კარგი პროექტი. სხვა შემთხვევაში გზაში ყოველთვის რაღაც იცვლება ხოლმე. „მეამას“ მფლობელი მოწადინებული იყო, შეგვექმნა რაღაც არაორდინარული. დავალებაც ასეთი იყო – შენობას უნდა ჰქონოდა პრაგმატული გადაწყვეტებიც და მეორე სივრცეც, სადაც ახლად შექმნილი კომპანიის საოპერაციო ნაწილი უნდა განთავსებულიყო. სურდათ, შეექმნათ სივრცე, სადაც ხალხი სიამოვნებით გაატარებდა დროს, ვერ იგრძნობდა თავს თბილისში, ვერ დაინახავდა ვერაფერს, თუ რამე უსახური გაჩნდებოდა გარშემო ხვალ და ზეგ… „მეამას“ შენობა არის ერთიანი მონოლითური მასალა. შენობის ფუნქციასთან დაკავშირებით ათასი ვერსია მოვისმინე, ზოგი – სასაცილოც, ადამიანების ფანტაზიას საზღვარი არ აქვს… გარედან იმდენად დახურულია, რომ ადამიანი ვერ წარმოიდგენს, რამდენად ნათელი სივრცეებია შიგნით. რა თქმა უნდა, „მეამასთან“ დაკავშირებით ოპტიმისტური მოლოდინები გვქონდა, მაგრამ ამდენ ჯილდოს არ ველოდებოდით. სხვათა შორის, ბათუმის „მაკდონალდსის“ შენობაც გახდა საერთაშორისო ჯილდოების მფლობელი და ეს მაშინ ჩვენთვის გარკვეული სტიმულის მომცემი იყო.

Sports complex



ხელწერა? ზოგჯერ ამბობენ, ერთი შეხედვით მივხვდი, ვისი შენობა იყოო. არიან არქიტექტორები, რომელთაც პროექტების მიხედვით ცნობენ. ეს მე არ მომწონს. რაღაცებში ვცდილობთ, სხვა გადაწყვეტები ვიპოვოთ და ვიზუალურადაც განსხვავებული იყოს. მზა რეცეპტების გამოყენება არ არის ჩემთვის საინტერესო. მე თავად შექმნის პროცესიც მომწონს. ახლის ძიებაა საინტერესო.



არ ვიცი, შეიძლება თუ არა, ერთ შენობაში გააერთიანო ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენის უმაღლესი საფეხური. ადრე, როცა შენობების აგება შესაძლოა, ასი წელი გაგრძელებულიყო და ყველანაირი რესურსი იდებოდა, ასეთ შენობებს ისტორიული დატვირთვაც ჰქონდა და განუმეორებელი იყო. დღეს, როდესაც დრო ასეა აჩქარებული, არ შეიძლება, შენობის აგება რაღაც დროზე დიდხანს გრძელდებოდეს. ყველა პროექტზე ვიხარჯები, ყველა პროექტი მიყვარს მასზე მუშაობისას.



Qeda

**არქიტექტურა საქართველოში**

სულ მაქვს იმის შიში, რომ შეიძლება, რაღაც ეტაპზე მშენებლობა გაჩერდეს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ხშირად იცვლება ბევრი რამ, მშენებლობის სფერო კი მაშინვე რეაგირებს, არქიტექტურაც ამაზეა მიბმული. დიდი პროექტები ყოველთვის შეიცავს რისკებს. მივიჩნევ თუ არა საკუთარ თავს ქართული არქიტექტურის წარმომადგენლად? მე, ალბათ, ისეთ პერიოდში ჩამოვყალიბდი არქიტექტორად, საზღვრები უკვე აღარ არსებობდა, ინფორმაციას იმავენაირად ვიძიებდი, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანი. მაინცდამაინც გეოგრაფიულ არეალს ვერ მივაკუთვნებდი საკუთარ თავს. ჩემთვის მთავარი საქმიანობისას კვლავ ენთუზიაზმია, რომელიც არ დამიკარგავს, ეს არის ჩემი მამოძრავებელი ძალა და ბევრი სირთულის გადალახვაში მეხმარება…

ასეთ შენობებს ისტორიული დატვირთვაც ჰქონდა და განუმეორებელი იყო

Bioli residence



# დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაზავი



## კოპენჰაგენის სამრეწველო დიზაინის სტუდია - OEO STUDIO 20 წლის ხდება.

მას დიზაინერები – თომას ლიუკე და ანე–მარი ლიუმანი ხელმძღვანელობენ. ამ დროის განმავლობაში მათ გახსნეს ოფისი ტოკიოში და იმუშავეს არაერთ არქიტექტურულ პროექტზე ინტერიერისა და სამრეწველო დიზაინის მიმართულებებით. მათ შორისაა ორვარსკვლავიანი რესტორნები ტოკიოსა („იუნა“) და კოპენჰაგენში („კადო“).
სტუდიის მუშაობის შესახებ მისი კრეატიული დირექტორი თომას ლიუკე გვესაუბრა.

□□□□□□□□ □□□□□ □□□□□□□
□□□□ □□□□□□□□□□□□



**ჩვენი შეხვედრა კოპენჰაგენში, ფესტივალ 3 Days of Design–ზე შედგა. რას ნიშნავს სტუდიის სახელი OEO?**
18 წლის წინ, როდესაც სახელზე ვფიქრობდით, უბრალოდ, ვეძებდით მოკლე, ვებგვერდისთვის მოსახერხებელ სიტყვას. ასე დაიბადა ასოთა წყობა, რომელიც აბსოლუტურად ყველა ენაზე მარტივად წარმოითქმის. თავისთავად ეს სიტყვა არაფერს ნიშნავს.

**ერთხელ ფილიპ სტარკმა ჟურნალისტის შეკითხვას, თუ რამდენად ფუნქციურია მისი წვენსაწური, უპასუხა: დიზაინი არ არის ყოველთვის ფუნქციურად რეალიზებული, თუმცა ის მუდამ უნდა ქმნიდეს დიალოგს. რამდენად ეთანხმებით მას?**
რა თქმა უნდა. ჩვენ ვართ ხალხი, რომელიც ფუნქციურობას პირველ ადგილზე აყენებს და ამაში დიდ წარმატებას მივაღწიეთ, ვიპოვეთ ბალანსი ფუნქციურობას, ესთეტიკასა და ტექნიკურ ოსტატობას შორის. ეჭვგარეშეა, საჭრელი დანა, პირველ ყოვლისა, კარგად უნდა ჭრიდეს, ამისთვის კი ის ხელში კარგად უნდა მოთავსდეს, თუმცა მისი დიზაინი უნდა აერთიანებდეს კომფორტსა და ემოციას. დიზაინში აუცილებელია მდგრადობა, თუმცა აჩუქო ადამიანებს ემოცია – ესეც ფუნქციაა. დიახ, როდესაც სივრცე სრულ კომფორტს გიქმნით, სადაც გაქვთ შეგრძნება, რომ აქ თქვენ გელიან, თავისთავად ჩნდება დადებითი ემოციები, ეს კი ნიშნავს, რომ დიზაინმა თავისი ფუნქცია შეასრულა – თუნდაც, ერთი შეხედვით, აბსტრაქტული.

**რა საერთო აქვს სკანდინავიურ და იაპონურ დიზაინს?**
ბევრ სკანდინავიელ, უფრო კი – დანიელ დიზაინერს შთაგონება იაპონელმა დიზაინერებმა და არქიტექტორებმა მისცეს. ვფიქრობ, ორივე კულტურას ახასიათებს სისადავე და მინიმალიზმი, რომლებიც გარკვეულ ასკეტიზმზეა დამყარებული.

**როგორ გადახვედით მოდიდან არქიტექტურასა და სამრეწველო დიზაინზე?**
ყოველთვის მაინტერესებდა არქიტექტურა, არქიტექტორობა მინდოდა კიდეც, მაგრამ მოდაც მიტაცებდა და არჩევანი მასზე შევაჩერე.



მალევე, 90-იან წლებში მივხვდი, რომ გრძელვადიანი დიზაინი არაა განკუთვნილი fashion-ინდუსტრიისთვის.
გარდა ამისა, სწავლის დროს ამერიკაში ვმუშაობდი, სადაც დიზაინერისგან წელიწადში, სულ ცოტა, რვა ახალ კოლექციას ელიან, რაც ნიშნავს, რომ სამსახური მასობრივ წარმოებად იქცევა. მივხვდი, რომ მოდის ინდუსტრია „ჩემი“ არ არის, თუმცა დღემდე აღტაცებული ვარ მოდით, იმით, თუ როგორაა შესაძლებელი ინდივიდუალურობის გამოხატვა მისი საშუალებით.

**რა გამოცდილება მიიღეთ fashion-დიზაინერად მუშაობისას?**
შევიძინე მუზის ძიებისა და კოლექციაზე მუშაობის უნარები. რასაც უნდა აკეთებდეს დიზაინერი – ტანსაცმელს, ავეჯს, შენობას თუ სივრცეს, ყველაფერი რაღაც იდეას ატარებს. მუდმივი კავშირია A წერტილიდან B წერტილამდე მისასვლელად.

**რით დაიწყეთ, სამრეწველო დიზაინით, ინტერიერით თუ არქიტექტურით?**
დიზაინზე მუშაობა Wallpaper-ში ყოფნისას გადავწყვიტე. მომწონდა სტუდიური გადაღება, სადაც მთელ მიზანსცენას მე ვაწყობდი.

იქ ვისწავლე სივრცეში მუშაობა, ჩემთვის სასურველი ინტერიერებისა და ატმოსფეროების შექმნა. სწორედ აქედან იწყება ჩვენი სტუდიის ისტორია. პირველი პროექტები კი დაკავშირებული იყო სამრეწველო და სხვადასხვა ნივთის დიზაინებთან. ასევე, ვმუშაობთ არტ-ფოტოგრაფიის მიმართულებითაც.

**რას ნიშნავს „სკანდინავიური ფასეულობა“?**
უპირველესად, ფუნქციურობას, დეტალებზე ყურადღების გამახვილებას და ხარისხს. ეს არის ირიბი, დაფარული მიზანი: ადამიანმა თავი იგრძნოს ისე, როგორც სახლში, თითქოს მას აქ ელიან. და კიდევ, აღსანიშნავია ჩვენი დიზაინის დემოკრატიულობა და ინკლუზიურობის გათვალისწინება. ასევე, ჩვენი მიზანია შევქმნათ ნივთები არა მხოლოდ ამ მომენტისათვის, არამედ გრძელვადიანი, რომელიც შემდეგ თაობებს გადაეცემა. ეს აზროვნების შესანიშნავი მოდელია, რომელიც ჩვენს დიზაინერებს გამოარჩევს. მათი მიზანია – შეიქმნას მრავალწლიანი დიზაინი, მოდის მიღმა.

**და რა არის აზიური ესთეტიკა?**
იგი დაკავშირებულია კულტურულ პრინციპებთან, ჩაის ცერემონიის მსგავს რიტუალებთან. ისინი გამოიხატება გამძაფრებული ყურადღებით ყველაფრის მიმართ – საგნის ზედაპირის, ფერთა სიღრმის, დეტალების, დამზადების ტექნიკის... ჩვენი არჩევანის შეჩერება აზიურ, უფრო კი – იაპონურ ესთეტიკაზე განაპირობა ჩემმა დიდმა ინტერესმა ამ ქვეყნის მიმართ, რომელიც ძალიან ბუნებრივად გაჩნდა.

**მოგვიყევით თქვენი „შთაგონების კედლის“ შესახებ...**
ის სტუდიაში დაიბადა, მეტწილად, კოლექციონერობის მიმართ ჩვენი საერთო გატაცების შედეგად. კედელზე მოთავსებულია სხვადასხვა ნივთი, მათ შორის, ბავშვობის დროინდელი, რომლებიც შთაგვაგონებს და იდეებს ბადებს.

*ეს არის ირიბი, დაფარული მიზანი: ადამიანმა თავი იგრძნოს ისე, როგორც სახლში*













აქ არის მოგზაურობებიდან ჩამოტანილი ნივთები, მეგობრებისა და კლიენტების საჩუქრები, სანაპიროზე ნაპოვნი კენჭები... ყოველ მათგანს საკუთარი ისტორია აქვს. ისინი შეიძლება, წლების განმავლობაში იდოს თაროზე, ვიდრე შემთხვევით არ შევამჩნევთ მათ და აღმოვაჩენთ რამე ისეთს, რაც კარგად მიესადაგება ჩვენს მორიგ პროექტს – შესაძლოა, ეს იყოს ფერის სიღრმე ან ზედაპირის ფაქტურა...



> ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘᲐ ᲨᲔᲕᲥᲛᲜᲐᲗ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲡ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ



**რით იწყება ახალ სივრცეზე მუშაობის პროცესი?**
ურთიერთობით. ინტერიერში ჩვენი კლიენტების მოლოდინი უნდა ავსახოთ. ვსწავლობთ სივრცის პოტენციალს: რაც უფრო რთულია იგი, მით უფრო საინტერესოა მუშაობა. უნდა „წავიკითხოთ“ სივრცე და ისე ჩავდოთ ემოცია, რომ სწორად შერჩეული ფერებითა და საგნებით გარშემორტყმულმა ადამიანმა ის იგრძნოს. არც ზედმეტად ბრჭყვიალა ზედაპირმა, არც ხმის სუსტმა იზოლაციამ, არც არასწორად შერჩეულმა ფერმა არ უნდა დაარღვიოს ეს ემოცია.



**როდესაც სივრცეზე მუშაობას შევეხეთ, ახსენეთ სიტყვა „წაკითხვა“, თუმცა არსებობს მრავალი ლიტერატურული ჟანრი – დეტექტივი, სასიყვარულო რომანი, სამეცნიერო–პოპულარული წიგნები... რომელ ჟანრს ეკუთვნის თქვენი ინტერიერები?**
ცალსახად, ისინი სასიყვარულო რომანებია, რომლებიც ინტერიერის, მასალის, ადამიანების მიმართ ჩვენი სიყვარულის ისტორიას ჰყვება. ჩვენს ნამუშევრებს ჰემინგუეის ნაწარმოებებს შევადარებდი...



# კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი დაბადება

## „შატო მუხრანის“ სასახლე უკვე გაიხსნა!

„120 წლის შემდეგ ფერფლიდან აღმდგარი სასახლე სახელოვანი დამფუძნებლის ხელწერას, ქართველი და უცხოელი არქიტექტორების, მშენებლების, ისტორიკოსებისა და ხელოვანების ნიჭს, გემოვნებასა და პროფესიონალიზმს გამოხატავს“



აღდგენილი „შატო მუხრანი“ თავის დიად ისტორიას აგრძელებს. სასახლისა და მუხრანბატონის მამულების აღდგენის იდეა 2002 წელს დაიბადა. გადაწყვეტილების მთავარი საფუძველი გახდა მივიწყებული ტრადიცია, მიტოვებული სასახლე, ბაღები და მარნები... ბატონმა ფრედერიკ პოლსენმა და მისმა თანამოაზრეებმა მუხრანბატონის მამულების აღდგენა დაიწყეს და შექმნეს სააქციო საზოგადოება „შატო მუხრანი“. ქართველმა და იტალიელმა სპეციალისტებმა 100 ჰექტარზე ვენახი გააშენეს და, ამავე დროს, მარნის მშენებლობაც დაიწყეს. 2016 წელს მუშაობა დაიწყო სასახლის აღდგენაზეც. მას შემდეგ მუდმივად მიმდინარეობს სასახლის ინფრასტრუქტურის განახლების პროცესი.

სასახლის საუცხოო ინტერიერი მსოფლიოში აღიარებულმა ინტერიერის დიზაინერმა ხუან პაბლო მოლინეომ შექმნა. ის მოულოდნელი ხერხებით, ფანტაზიისა და საუკუნოვანი ტექნიკის შერწყმით გვიყვება წარსულზე, ამგვარად აცოცხლებს ისტორიულ ატმოსფეროს და წარსულისა და თანამედროვეობის ბუნებრივი სინთეზი იქმნება. შედეგად, 120 წლის შემდეგ ფერფლიდან აღმდგარი სასახლე სახელოვანი დამფუძნებლის ხელწერას, ქართველი და უცხოელი არქიტექტორების, მშენებლების, ისტორიკოსებისა და ხელოვანების ნიჭს, გემოვნებასა და პროფესიონალიზმს გამოხატავს. მუხრანბატონის ეპოქის სრულად შეგრძნება ახლა უკვე შესაძლებელია სასახლის აღმოსავლურ და ევროპულ ოთახებში, საკონფერენციო და სადეგუსტაციო დარბაზებსა და ბიბლიოთეკაში. ფრანგი და ქართველი არქიტექტორების მიერ დაგეგმილი სასახლე და მისი ინფრასტრუქტურა 16 ჰექტარს მოიცავს. მასში შედის ტყე-პარკი, ფრანგული ბაღი, ქართული კუთხე, კაკლის ხეივანი და სათბური. სასახლის ბაღი ამჟამად მნიშვნელოვანი განახლებისა და რეაბილიტაციის პროცესშია.



„ძალიან ამაყი ვიყავი და დიდ პატივად მივიჩნიე, როდესაც ეს პრესტიჟული სარესტავრაციო პროექტი შემომთავაზეს. როცა ასეთ პროექტს ხელმძღვანელობ, თავმდაბლობა გმართებს, რადგან არსებულ შენობასთან მუშაობ და არა მის წინააღმდეგ...“

**ხუან პაბლო მოლინეო:**
„ძალიან ამაყი ვიყავი და დიდ პატივად მივიჩნიე, როდესაც ეს პრესტიჟული სარესტავრაციო პროექტი შემომთავაზეს. როცა ასეთ პროექტს ხელმძღვანელობ, თავმდაბლობა გმართებს, რადგან არსებულ შენობასთან მუშაობ და არა მის წინააღმდეგ...
ჩემი პროექტი ამ ევროპულ ეკლექტურობაზე დავაფუძნე, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნეში დომინანტური ნეოკლასიციზმი აერთიანებს.
ბუნებრივია, რომ შთაგონება მომცა ღვინისა და ვენახების თემატიკამაც. ზოგი ოთახი კი – ისეთი, როგორიც, მაგალითად, ჩემ მიერ წარმოდგენილი „აზიური სალონია“ – მეცხრამეტე საუკუნის არისტოკრატიულ სახლებში გავრცელებულ „ეგზოტიკურ“ მოდაზე მიანიშნებს. სასახლის დიდებულების სული აღდგენილია გამოყენებული ძვირფასი მასალითაც, როგორიცაა: მარმარილო, მაჰაგონის ხე, შუშა, სტუკო და სხვა.
მუხრანის სასახლე სულ მალე გახდება საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი სახლი. ყოველ შემთხვევაში, ეს არის მიზანი, რომელიც მე დავისახე“.





## სასახლის ისტორია

თავადი ივანე მუხრანბატონი მე–19 საუკუნის საქართველოს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის სახელოვანი წევრი იყო. მუხრანბატონის წინაპართა მამულებში აგებულ „შატო მუხრანში“ ამჟამად საქართველოს საუკეთესო ღვინოები იწარმოება. 1876 წელს საფრანგეთში მოგზაურობიდან საქართველოში დაბრუნებულმა ივანე მუხრანბატონმა თან ჩამოიტანა შატოს იდეა და კონცეფცია. მან სასახლე და მარანი ააშენა და იმ დროისთვის მეღვინეობის ყველაზე ინოვაციური კერა დააარსა. ანტიკურობიდან მოყოლებული, მუხრანი მეღვინეობისა და მევენახეობის მნიშვნელოვანი კერა იყო, რაც მრავალი ისტორიული და ეთნოგრაფიული ძეგლით დასტურდება სოფელსა და მის შემოგარენში. მეცხრამეტე საუკუნეში ივანე მუხრანბატონის მამული, თავისი მარნებით, უნიკალური ვენახებით, წარმტაცი ბაღებითა და სასახლით, ერთგვარი კულტურული მიზიდულობის ცენტრი გახდა როგორც უცხოელებისთვის, ისე ქართველებისთვის. დღევანდელი „შატო მუხრანი“ სწორედ ამ ტრადიციის გამგრძელებელია. აღდგენილი სასახლე უკვე არის საყვარელი ადგილი არა მარტო ქართველებისთვის, არამედ მრავალი უცხოელი სტუმრისთვისაც.

„შატო მუხრანი“ არის საქართველოში ერთ-ერთი იშვიათი გადარჩენილი სასახლე, საქართველოსა და მისი ხანგრძლივად მმართველი დინასტიის დიადი ისტორიის მოწმე











„შატო მუხრანი“ ხაზს უსვამს საქართველოს ისტორიას და კულტურას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სივრცეში

2011 წლიდან ღვინის ტურიზმი „შატო მუხრანის“ ყურადღების ცენტრში მოექცა. მისმა განსაკუთრებულმა ინფრასტრუქტურამ, გარე და შიდა რესტორნებმა, ცხენების თავლამ, ისტორიამ, არტეფაქტებმა, მოხერხებულმა ადგილმდებარეობამ სასახლე ქართველებისა და უცხოელი სტუმრების საყვარელ ადგილად აქცია.
„შატო მუხრანში“ ყოველწლიურად ათასობით ქართველი თუ უცხოელი ჩამოდის ბიზნესის, შემოქმედებითი, თუ გასართობი ღონისძიებების, ტურების, ქორწილებისა და სხვა მასშტაბური ღონისძიებების გასამართად.

**პატრიკ ჰონეფი – კომპანიის დირექტორი და მთავარი მეღვინე:**
„შატო მუხრანი“ არის საქართველოში ერთ–ერთი იშვიათი გადარჩენილი სასახლე, საქართველოსა და მისი ხანგრძლივად მმართველი დინასტიის დიადი ისტორიის მოწმე. ის არის სიმბოლო მეცხრამეტე საუკუნის ქართველი არისტოკრატიისა და მისი წარმომადგენლების მცდელობისა, განევითარებინათ ქართული ღვინის კულტურა ქართლში. სასახლე განასახიერებს ელეგანტურობას, კეთილშობილებასა და კულტურას. მჯერა, რომ ამჟამად ქართული კულტურა ერთგვარი რენესანსის ხანაშია. ჩვენი ღვინის კულტურაც ამ რენესანსის ნაწილია. ის შეგვახსენებს ღვინის სახეობათა სიმდიდრესა და ხარისხს, რაც თითქოს ბუნების მიერ მეღვინეობისთვის შექმნილ ამ ლამაზ ქვეყანას უხვად აქვს. „შატო მუხრანი“ ქართული სიამაყის ნაწილია და მოწოდებულები ვართ, რომ ამ სასახლეს მისი უწინდელი ღირებულება დავუბრუნოთ. ის არის ყოველი ქართველის კუთვნილი კულტურული მემკვიდრეობა და უმშვენიერესი ძეგლი, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე წარადგენს. „შატო მუხრანი“ ხაზს უსვამს საქართველოს ისტორიას და კულტურას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სივრცეში“.







# ხალხის საყვარელი დედოფალი

## საინტერესო ფაქტები ელიზაბეთ მეორის შესახებ

2022 წლის 8 სექტემბერი ისტორიაში შევიდა - ამ დღეს დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლის მმართველი, დედოფალი ელიზაბეთ მეორე 96 წლის ასაკში გარდაიცვალა და დიდი ეპოქა დასრულდა, რომელიც სავსე იყო ისტორიული მოვლენებით. ამ ისტორიული მოვლენების ერთ-ერთი მთავარი გმირი კი პლანეტის ყველაზე გავლენიანი მონარქი გახლდათ.
რომ არა მისი ბიძის, ედუარდ VIII-ის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა სამეფო ტახტზე საყვარელი ქალის გამო, ელიზაბეთი დედოფალი ვერ გახდებოდა. ტახტზე ედუარდ VIII-ის ძმა, ჯორჯ VI ავიდა, სწორედ მისი ქალიშვილია ელიზაბეთ მეორე - დედოფალი, რომელიც ბრიტანეთის სამეფო სახლს ყველაზე ხანგრძლივად, 70 წლის განმავლობაში მართავდა.





რომ არა მისი ბიძის, ედუარდ VIII-ის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა სამეფო ტახტზე საყვარელი ქალის გამო, ელიზაბეთი დედოფალი ვერ გახდებოდა

1. ელიზაბეთს, ანუ ლილიბეთს, როგორც ბავშვობაში ეძახდნენ და მის დას, მარგარეტს არასდროს უვლიათ სკოლაში. მათ განათლება სახლში მიიღეს საუკეთესო რეპეტიტორების დახმარებით. ლილიბეთისა და მარგარეტის სახლიდან გამოსვლა მკაცრად კონტროლდებოდა. მშობლების თანხმობით დები ლონდონის ქუჩებში ხალხს მაშინ შეუერთდნენ, როდესაც ბრიტანეთი 1945 წლის 8 მაისს მეორე მსოფლიო ომის დასრულებას ზეიმობდა.
ახალგაზრდა დედოფლის ქორწინების დღეს მისი ბრილიანტებით მოოჭვილი ტიარა გატყდა. საბედნიეროდ, სამეფო ოჯახის იუველირმა მალევე შეძლო მისი შეკეთება.





ელიზაბეთმა მომავალი მეუღლე მაშინ გაიცნო, როდესაც სულ რაღაც 8 წლის იყო



**2.** ელიზაბეთ მეორე და მისი ქმარი, პრინცი ფილიპი შორეული ნათესავები იყვნენ. მათი ქორწინება 73 წელს გაგრძელდა, ფილიპის გარდაცვალებამდე. ელიზაბეთმა მომავალი მეუღლე მაშინ გაიცნო, როდესაც სულ რაღაც 8 წლის იყო.

**3.** დედოფალი თავის დაბადების დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავდა. ოფიციალურად მისი დაბადების დღე 21 აპრილსაა, მაგრამ ქვეყანა მას 11 ივნისს ზეიმობდა. ამას თავისი პრაქტიკული მიზეზი ჰქონდა – აპრილში ჯერ კიდევ ცივა და შეუძლებელია აღლუმის გამართვა მონარქისთვის შესაბამისი პატივის მისაგებად.

**4.** დედოფალი ელიზაბეთ მეორე მდიდარი ადამიანი იყო, მაგრამ არა ყველაზე მდიდარი დიდ ბრიტანეთში და, შეიძლება ითქვას, ამ ტიტულთან ახლოსაც არ ყოფილა. ბოლო გამოთვლებით, ის 500 მილიონ გირვანქა სტერლინგს ფლობდა. სამეფო ოჯახის წევრები არ არიან ვალდებულნი, გადაიხადონ გადასახადები, მაგრამ 1993 წლიდან დედოფალი ამას საკუთარი სურვილით აკეთებდა.






**5.** მისი პორტრეტი ასზე მეტ ფილმსა და ტელესერიალში შეიქმნა.

**6.** 1989 წლიდან მოყოლებული, ის ერთსა და იმავე, საკმაოდ იაფფასიან ფრჩხილის ლაქს იყენებდა.

**7.** მას არ სჭირდებოდა არც პასპორტი და არც მძღოლის მოწმობა. დედოფალს ძალიან უყვარდა საჭესთან ჯდომა.

**8.** დედოფალი ელიზაბეთ მეორე იყო დიდი ბრიტანეთის მონარქი, რომელმაც თავისი მმართველობის განმავლობაში ყველაზე მეტი ქვეყანა მოიარა – სულ 125.

**9.** თავისი 70-წლიანი მმართველობის დროს დედოფალი დიდი ბრიტანეთის 15 პრემიერ-მინისტრს შეხვდა.

2022 წლის 8 სექტემბერი ისტორიაში შევიდა – ამ დღეს დიდი ბრიტანეთის სამეფო სახლის მმართველი, დედოფალი ელიზაბეთ მეორე 96 წლის ასაკში გარდაიცვალა და დიდი ეპოქა დასრულდა, რომელიც სავსე იყო ისტორიული მოვლენებით

**10.** საღამოს, ძილის წინ დედოფალს ერთი ჭიქა შამპანურის დალევა უყვარდა, თუმცა ბოლო პერიოდში ექიმებმა მას საყვარელი ჩვევა აუკრძალეს და ალკოჰოლის მაგივრად წვენებსა და წყალს მიირთმევდა.

ოფიციალურად მისი დაბადების დღე 21 აპრილსაა, მაგრამ ქვეყანა მას 11 ივნისს ზეიმობდა



# „სოკარის“ ახალი კამპანია

„სოკარმა“ დაიწყო ახალი კამპანია - „მეგზურსაც გააჩნია!“
კამპანია ორი ნაწილისგან შედგება და მოიცავს ერთთვიან ვიდეოების ციკლს სატელევიზიო ეთერში და უფრო გრძელვადიან აქტივობას სოციალურ მედიაში.
კამპანიით „მეგზურსაც გააჩნია!“ „სოკარს“ სურს წარმოაჩინოს, რამდენად დიდი ადგილი უკავიათ ჩვენს ცხოვრებაში ერთი შეხედვით შეუმჩნეველ ადამიანებს.



თავად „სოკარიც“ თითოეული მძღოლის მეგზურია და განსაკუთრებით კარგად ესმის ადამიანებზე ზრუნვის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ, ვიდეოკამპანიაში ხაზგასმულია მძღოლის გვერდით, მგზავრის სავარძელში მჯდომი ადამიანების როლი. აქედან წამოვიდა უფრო ვრცელი კამპანიის იდეაც – გავიაზროთ ჩვენი ცხოვრების პროფესიონალი მეგზურების მნიშვნელობაც, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ სხვა ადამიანების მოგზაურობისა და თავგადასავლების შესაქმნელად.

კამპანიის ფარგლებში შეიქმნა 5 სარეკლამო ვიდეორგოლი, სადაც მოთხრობილია კარგი მეგზურების შესახებ როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მნიშვნელობით. საინტერესოა ისიც, რომ ვიდეორგოლები თავდაპირველად ავტომობილების კლასიკურ რეკლამას მოგაგონებთ, სადაც ყურადღების ცენტრში, ძირითადად, საჭესთან მყოფი ადამიანები არიან. „სოკარი“ კი ყურადღებას ამახვილებს იმ ადამიანებზე, რომლებიც მძღოლის გვერდით სხედან.

რაც შეეხება კამპანიას სოციალურ მედიაში, ის უმეტესად ფოტოკონტენტით იქნება დატვირთული. „სოკარი“ ეწვია ნამდვილ მეგზურებს, ადამიანებს, რომელთა საქმეც სხვებისთვის დაუვიწყარი თავგადასავლების შექმნაა, მოისმინა მათი ამბები და კამპანიის მთავარ გმირებად აქცია. „სოკარის“ მიზანია, ყველას გააგებინოს, რომ მეგზურებსაც გააჩნია!

კამპანიით „მეგზურსაც გააჩნია!“ „სოკარს“ სურს წარმოაჩინოს, რამდენად დიდი ადგილი უკავიათ ჩვენს ცხოვრებაში ერთი შეხედვით შეუმჩნეველ ადამიანებს



# 2023 წლის ასტროლოგიური დახასიათება

**მოამზადა** ასტროლოგმა რამაზ გიგაურმა

## ვერძი

ამ წელს გაგიჩნდებათ შანსი, წარსულში შექმნილი კრიზისები დაარეგულიროთ და ფინანსური სფეროც განავითაროთ. ამაში ახალშეძენილი უნარების განვითარება და ახალი მეგობრები დაგეხმარებიან. წლის პირველ ნახევარში ძალის მოზღვავებას იგრძნობთ, იქნებით ამბიციური და შემტევი. მაქსიმალურად იაქტიურეთ, გამოავლინეთ ახალი ინიციატივები და გაბედულად იმოქმედეთ. წლის მეორე ნახევარში აუცილებელი გახდება ძველი პროექტების დასტაბილურება და მშვიდ კალაპოტში გადაყვანა. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს და პირად ცხოვრებას. იფიქრეთ დასვენებასა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზეც. სამსახურებრივი და კარიერული საკითხები ფრთხილად მართეთ და მოერიდეთ წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმას.

## კურო

ეს საკუთარ თავში ჩაღრმავებისა და ცხოვრების აზრის ძიების პერიოდი იქნება. მოსალოდნელია, დაინტერესდეთ ფსიქოლოგიით ან რელიგიით, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იქნება მაისამდე. შესაძლოა, მოგიწიოთ ძველი პრობლემების მოგვარებამ და ყოფილ პარტნიორებთან ურთიერთობების გარკვევამ. მაქსიმალურად შეეცადეთ, რომ წარსულის ნეგატიური გავლენისგან მშვიდად და ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე გათავისუფლდეთ. რადიკალურად შეიცვლება მდგომარეობა წლის მეორე ნახევარში, როდესაც აღმაფრენას იგრძნობთ და საკუთარი თავის რწმენა გაგიძლიერდებათ. დაიწყებთ ახალი და, შესაძლოა, გრანდიოზული მიზნების დასახვას. ეს კარგი დროა საკუთარ ხასიათზე მუშაობისთვის, ახალი უნარების შეძენისა და იმიჯის შეცვლისთვის.

## ტყუპები

წლის პირველი ნახევარი დაუკავშირდება არა მხოლოდ ძველი კრიზისების მოგვარებას, არამედ თქვენი პროფესიონალიზმის განვითარებას და სამსახურებრივ წინსვლასაც. უპირატესობა მიანიჭეთ კოლექტიურ ურთიერთობებს. კარგი დროა მომავლის ფორმირებისთვის, ასევე, ახალი მეგობრებისა და თანამოაზრეების შეძენისთვის. წლის მეორე ნახევარში თქვენი სამუშაო გრაფიკი უფრო ინტენსიური და დაძაბული გახდება. მოსალოდნელია გარკვეული უთანხმოება მშობლებთან, ხელმძღვანელობასთან ან ავტორიტეტულ ადამიანებთან. ღია კონფლიქტს მოერიდეთ. აუცილებლად იზრუნეთ პიროვნულ განვითარებაზე და ფინანსური შემოსავლების ზრდაზე.

## კირჩხიბი

გასული წლიდან გადმოყოლილი კრიზისები თუ პერსპექტივები (განსაკუთრებით საქმიან ცხოვრებასთან დაკავშირებით) წლის პირველ ნახევარში თქვენი ძირითადი საზრუნავი იქნება. წარმატებით გააგრძელებთ ადრე დაწყებულ საქმეებს და სოციალური აქტიურობის თუ სამსახურებრივი წინსვლის კუთხით სასურველ შედეგებსაც მიაღწევთ. არ არის გამორიცხული სამსახურში დაწინაურდეთ ან საინტერესო კავშირები დაამყაროთ, ოღონდ ამისთვის აუცილებელი იქნება საკუთარი ემოციური რეაქციების სწორად მართვა და ენერგიის საჭირო მიმართულებით დახარჯვა. წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი გახდება ურთიერთობები და ინფორმაცია. შეეცადეთ პრიორიტეტების მიხედვით დაალაგოთ ყველაფერი და უპირველესად იმ პროექტების განვითარებაზე იზრუნოთ, რომლებიც თქვენს ცხოვრებას გრძელვადიან პერსპექტივაში სასიკეთოდ შეცვლიან.

## ლომი

დამდეგი წელი საინტერესო მოვლენებს გპირდებათ. ეს განსაკუთრებით პარტნიორობას, კარიერას და პირად ცხოვრებას ეხება. სიამაყის გამო ნუ იტყვით უარს ერთი შეხედვით წვრილმანი საქმეების კეთებაზე. სწორედ ყოველდღიურობის მართვა მოგცემთ საშუალებას, თქვენი მდგომარეობა შეცვალოთ. წლის პირველ ნახევარში მოიმატებს სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების და ქორწინების ალბათობა. თუ პირად ცხოვრებაში პრობლემები გაქვთ, ეს წელი კარგია ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ან თუნდაც განქორწინებისთვის. წლის მეორე ნახევარში განვითარებული მოვლენები საშუალებას მოგცემთ, დაამყაროთ საინტერესო კავშირები, მიაღწიოთ შეთანხმებას ან გააფორმოთ მომგებიანი კონტრაქტი. მოულოდნელი ცვლილება გელით კარიერული კუთხით.

## ქალწული

ეს აქტიური წელი იქნება, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს და ტრანსფორმაციას მოიტანს. რამდენადაც შეძლებთ კრიზისული სიტუაციების მართვასა და ფინანსურ ვალდებულებებთან გამკლავებას, იმდენად შეძლებთ წარმატების მიღწევას. მნიშვნელოვანი იქნება, რომ ამ პერიოდში შეინარჩუნოთ ძველი კავშირები და განავითაროთ ახალიც. წლის მეორე ნახევარი უფრო ჰარმონიული გამოდგება და საშუალება მოგეცემათ, გააფართოოთ თქვენი თვალსაწიერი, ჰორიზონტი, გაიღრმაოთ ცოდნა და აიმაღლოთ კვალიფიკაცია. გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად შეეცადეთ, დრო დასვენებისა და განტვირთვისთვისაც გამონახოთ.





აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2023 წელი წყლის (შავი) კურდღლის (კატის) წელი იქნება. ის 2023 წლის 22 იანვარს დაიწყება და 2024 წლის 9 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება. ეს წელი შედარებით „რბილი" იქნება. 2023 წელს წარმატების მიღწევისთვის აუცილებელი თვისებებია: გულწრფელობა, პატიოსნება და მოთმინება.

## სასწორი

ამ წელს განვითარებული მოვლენები თქვენგან პასუხისმგებლობის აღებას და არაორდინარულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება წლის პირველ ნახევარში. მოსალოდნელია, რომ არა მხოლოდ ახალი გამოწვევების წინაშე დადგეთ, არამედ გადადებული პროექტების დასრულებამაც მოგიწიოთ. სასურველია, გამოძებნოთ საკუთარ თავში ძალა, გააძლიეროთ მიზანსწრაფვა და გაბედულად იაროთ წინ. ამ პერიოდში მოგიწევთ კომპრომისებზე წასვლა, რათა კონფლიქტურ სიტუაციებში არ აღმოჩნდეთ. წლის მეორე ნახევარი ტრანსფორმაციის, განახლების სერიოზულ შანსს მოგიტანთ. ეს, ძირითადად, შეეხება სამსახურს, კარიერას, ბიზნესსა და კომერციულ გარიგებებს. წარმატებული იქნება უძრავი ქონების ყიდვა–გაყიდვა, ასევე, პირად ცხოვრებასთან, სწავლასა და ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

## მორიელი

წლის დასაწყისში უკან მიტრიალება და იმ საქმეების მოგვარება მოგიწევთ, რომელთა დასრულება ჯერ კიდევ ვერ მოახერხეთ. მოსალოდნელია, ეს იყოს ურთიერთობების გარკვევა და მომავლის დაგეგმვა. წლის პირველ ნახევარში გაგიძლიერდებათ სიყვარულის გამოვლენის და მიღების სურვილი, ამიტომ სასიყვარულო ურთიერთობების დაწყების ან განახლების ალბათობაც მოიმატებს, თუმცა სასურველია, მოსალოდნელი ცვლილებები გაასაიდუმლოოთ, რათა ფარული მტრებისა და მოშურნეების დარტყმის ქვეშ არ აღმოჩნდეთ. წლის მეორე ნახევარში აუცილებელი იქნება პრაქტიკულობისა და პრაგმატულობის გამოვლენა, რათა ილუზორულ სიტუაციებში არ აღმოჩნდეთ. შეეცადეთ, „პარაზიტი" გარშემომყოფებისგან და ვაი–მეგობრებისგან გათავისუფლდეთ.

## მშვილდოსანი

თქვენთვის წლის პირველი ნახევარი აქტიური და ენერგიული იქნება. წარმატებით გააგრძელებთ ადრე დაწყებულ საქმეებს. ეს განსაკუთრებით ეხება შემოქმედებით პროექტებს. ამ პერიოდში უფრო მოსიყვარულე და რომანტიკული გახდებით, ეს კი მკვეთრად გაზრდის დადებითი ცვლილებების შანსს პირად ცხოვრებაში. წლის მეორე ნახევარში მოახერხებთ განტვირთვას და დასვენებას, თუმცა ყურადღებას მოითხოვს უძრავ ქონებასთან, საბუთებთან, ფინანსურ შემოსავლებსა და კრედიტებთან დაკავშირებული საკითხები. ამ კუთხით შექმნილ პრობლემებზე მომენტალურად უნდა მოახდინოთ რეაგირება, თუმცა შეიძლება, ამავე პერიოდში საკმაოდ საინტერესო გამოდგეს პროფესიული და კარიერული წინსვლის მიმართულება.

## თხის რქა

ეს წელი თქვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გრძელვადიანი ციკლის დასრულების პერიოდია, რომელიც თქვენს ცხოვრებას შეცვლის როგორც შინაგანად, ისე გარეგნულად. გახდებით უფრო ძლიერი და მომავალში დარწმუნებული. წლის პირველ ნახევარში ბრძოლისუნარიანობისა და ლიდერული თვისებების გამოვლენა დაგჭირდებათ. ეს მკვეთრად გაგიზრდით წარმატების შანსებს სამსახურებრივ და, საერთოდ, საქმიან სფეროში. მოიმატებს ფინანსური შემოსავლები და არ არის გამორიცხული, შემოსავლების ახალი წყაროს მოძიებაც შეძლოთ. ეს სასიკეთო დროა ოჯახური თემების მოგვარებისთვის. წლის მეორე ნახევარი უფრო მრავალმხრივი და საინტერესო გამოდგება. ამ პერიოდში ნუ იქნებით პასიურ პოზიციაში და ინიციატივები გაბედულად გამოიჩინეთ.

## მერწყული

დამდეგი წელი წარსულის გააზრებისა და შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას მოგცემთ. ეს განსაკუთრებით ეხება პირად ცხოვრებას, საცხოვრებელ სივრცეს და ბედნიერების განცდას, ამიტომ წლის პირველ ნახევარში აღმოფხვერით ან მინიმუმამდე შეამცირეთ შფოთვისა და შიშის მიზეზები. შეეცადეთ, სახლში სიმშვიდე და ჰარმონია გქონდეთ. ხშირად ნუ იკამათებთ და ნუ იქნებით ჯიუტი. ნურც საჭირო დროს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება დაგავიწყდებათ. ასე მაქსიმალურად დაალაგებთ თქვენს პირად ცხოვრებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების კუთხით სერიოზულ ნაბიჯებსაც გადადგამთ. წლის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი გახდება ფინანსები და ამ კუთხით მოსალოდნელი ცვლილებები.

## თევზები

ამ წელს დასრულდება თქვენი ტრანსფორმაციის პერიოდი და წარმატებით შეძლებთ ჩამოაყალიბოთ ის ფასეულობები, რომლებიც სამომავლოდ თქვენი ცხოვრების ორიენტირი უნდა გახდეს. წლის პირველ ნახევარში ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას: ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე, იარეთ აუზზე, იზრუნეთ მენტალურ განვითარებაზე, დაესწარით ტრენინგებს. ეს არა მხოლოდ თქვენს თავდაჯერებულობას გაზრდის, არამედ სწორად დაინახავთ საკუთარ თავს და მიზნებს. წლის მეორე ნახევარში იოლად მოახერხებთ დაგროვილი კაპიტალის სარფიანად დაბანდებას. სწორად გამოიყენეთ საკუთარი დრო და ენერგია, ნუ გაფლანგავთ და პრიორიტეტული საკითხების მოგვარებაზე დახარჯეთ.



# მე რომ შემეძლოს...

**რუსუდან ფეტვიაშვილი**

მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი გვიმხელს თავისი ცხოვრების ყველა მთავარ სურვილსა და ნატვრას და იმას, თუ რას შეცვლიდა, ამის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს...

საქართველოს გავაწევრებდი ევროატლანტიკურ ალიანსში, რომ ჰარმონიული განვითარების საშუალება ჰქონდეს, საკუთარი თავის რწმენა და თვითღირსება შეემატოს...

განათლებას ავიყვანდი უმაღლეს საფეხურზე, რომ არცერთი გაუნათლებელი ბავშვი, ახალგაზრდა არ იყოს საქართველოში, ყველას ჰქონდეს თვითგამოხატვის, ნიჭის ბოლომდე გამოვლენის საშუალება და საკუთარი თავის რჩენა შეეძლოს.

გამოვრიცხავდი მშიერი ადამიანების არსებობას – ყველა იქნებოდა დაპურებული. ამას მოვახერხებდი ისეთი სისტემის შექმნით, რომლის საშუალებითაც არცერთი მშიერი ბავშვი არ იქნებოდა საქართველოში.

ვეცდებოდი, მსოფლიოში ყველა ბავშვი ყოფილიყო დაცული, ჰქონოდა ჯანსაღ და ჯანმრთელ ოჯახში, ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდის საშუალება. ჩემი აზრით, სწორედ ეს გახლავთ მუდმივად ცვალებად და ქაოსურ სამყაროში საყრდენი წერტილის მოძებნის მთავარი წინაპირობა.

ვეცდებოდი, რომ საქართველოში ღირსების გრძნობა ამაღლებულიყო თითოეული ქართველისათვის და მტრისა და მოყვრის წინაშე ღირსეულად მოქცევის საშუალება მისცემოდათ.

ყველა სკოლაში, საჯაროსა თუ კერძოში, ქართულსა თუ არაქართულში, მოვითხოვდი ქართული ენისა და ისტორიის ზედმიწევნით შესწავლას.

შევკრებდი კეთილშობილ, განათლებულ, კეთილ და დახვეწილ ადამიანებს იმისათვის, რომ საზოგადოებისთვის აეხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია ჰარმონიული განვითარება თავდაჯერების, ჩაკეტილი წრის გარღვევისა და გადარჩენის იმედის შენარჩუნებისათვის.

*მინდა, ადამიანებს სჯეროდეთ სიკეთის. დღეს, ჩემი რწმენით, ადამიანებს სიკეთის არ სჯერათ*

მინდა, ადამიანებს სჯეროდეთ სიკეთის. დღეს, ჩემი რწმენით, ადამიანებს სიკეთის არ სჯერათ.

ჩამოვაყალიბებდი კეთილსინდისიერი, თავისუფლად მოაზროვნე, სულიერად ამაღლებული ადამიანების საზოგადოებას, რომლებიც წარმართავდნენ საქართველოს გზას ყველა სფეროში, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

ჩვენ გვაქვს დიდი ინტელექტუალური რესურსი, რომლის შეთავაზებაც შეგვიძლია დანარჩენი მსოფლიოსთვის, მაგრამ ამას ხელშეწყობა სჭირდება. ძალისხმევას არ დავიშურებდი, რომ საქართველოში ყველა დარგში გამოევლინათ თავი ნიჭიერ ადამიანებს.

საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე, სადაც უნდა დაკრა ნიჩაბი, საოცარ არტეფაქტებს აღმოაჩენ. მსოფლიოდან მოვიწვევდი არქეოლოგებს და საქართველოს ამ მხრივ ცენტრად ვაქცევდი, რითაც ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ გახდებოდა ინტერესის საგანი.

საქართველო ძალიან ფაქიზი და ნაზი ქვეყანაა. ვეცდებოდი, რომ ეს ყველას დაენახა და მოჰფრთხილებოდა ჩვენს ქვეყანას. ვეცდებოდი, ეს მსოფლიოს თვალში წარმოჩენილიყო.

**ფოტო** სალი დუნდუა






Ialbuzi st.14, Tbilisi | (+995 32) 215 77 15

info@samraan.com
www.samraan.com

Sam Raan
Spa & Wellness Center


NEW
JOYFUL HOLIDAY
COLLECTION
Fill your heart with beauty
თბილისი მოლი - ისთ ფოინთი
სითი მოლი საბურთალო
@KikoMilanoGeorgia
KIKO
MILANO